ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

პარლამენტი ახალი მანქანების შესაძენად 855.000 ლარს დახარჯავს



გვ.2

6 დეკემბრიდან




ქართული დეტექტივი მე-15 ტომი

მაია ბურჭულაძე

უფასო ბილეთი წარსულში

ორშაბათის სიზმარი

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

პარასკევი, 8 დეკემბერი, 2017 №291 (7526) ფასი: 50 თეთრი

# ირმა ჭკადუა ზაზა ხატიაშვილის წინააღმდეგ



გვ.7

ზაზა ხატიაშვილი: „ირმა ინადგურებს რეპუტაციას!“

ირმა ჭკადუა: „არ არის ლამაზი, ზაზა ერთ კანდიდატს რომ უჭერს მხარს“






გვ.3

## „თბილისში საგზაო სამუშაოებს გატუზოს კომპანია შეასრულებს, ავარიულ კორპუსებს მალდინი მიხედავს“

ნაციონალები თბილისის მერს კორუფციულ გარიგებაში ადანაშაულებენ



ნიკოლოზ მჟავანაძე: „უმაღლეს სასწავლებლებში ახალგაზრდებს სულიერად კლავენ“

## „ქვემო ქართლის სკოლებში ვაჰაბიტები თავისუფლად შედიან“



გვ.4

სოსო ცინცაძე: „გახარიამ ლიდერის თვისებები გამოავლინა“



გვ.2

ხელისუფლება მერაბიშვილს უპირობოდ გაათავისუფლებს?



გვ.2

## სამართალი

გვ.10



„მინდა, ჩემი თავი ცოტა ხნით დავსაჯო“



გვ.7

„შურისძიების მოტივით სანადირო თოფიდან ესროლა“



გვ.7

„ჩემი ქმარი 5.000 ლარის გულისთვის მოკლეს“

## ეკონომიკა

გვ.6

ირაკლი როსტომაშვილი მერიას სამშენებლო გაიდლაინების შემუშავებას ურჩევს



„ბანკებს ლარის იაფი რესურსი არ გააჩნიათ“




ვანო მთირალაშვილი: „საქართველოში საწვავის მოხმარება არ შემცირებულა“



ISSN 1987-9385

3 კახა კალაძე: „თბილისში მოპირკეთების გარეშე შენობები ექსპლუატაციაში აღარ მიიღება“

4 საქართველო 90-იანებიდან რუსეთის დანაშაულების მსხვერპლია

5 6 გახმაურებული საქმე, რომელთა გამოძიებასაც ომბუდსმენი დანიშვნიდან დღემდე ითხოვს

3 ტექდათვალიერების საფასურს ნაღდი ფულით ვერ გადაიხდით

# სოსო ცინცაძე: „გახარიამ ლიდერის თვისებები გამოავლინა“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი **სოსო ცინცაძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ თუ კახა კალაძე და გიორგი გახარია კონკურენტები არიან, ეს მხოლოდ წაადგება იმ საქმეს, რომელსაც ისინი აკეთებენ.

***— ბატონო სოსო, „ფეისბუქის“ პირად გვერდზე ნიკა გვარამია წერს, რომ „ქართულმა ოცნებამ“ კახა კალაძეს გიორგი გახარია საპირწონედ დაუნიშნა და გახარი 10-ით ნულს უგებს კალაძეს. შეიძლება კალაძე და გახარია კონკურენტები გახდნენ პრემიერობის გზაზე?***

— მე ჯანსაღ კონკურენციას ყველგან მივესალმები, ვიცი, რას ნიშნავს, როდესაც არჩევანი არ არსებობს ან გეუბნებიან: მეტი არჩევანი არ არის და, რაც არის, იმას უნდა დასჯერდეო. ჩვენ გამოვიარეთ ეს პერიოდი.



კალაძეს თუ გახარია გაუწევს კონკურენციას, ეს ძალიან კარგი იქნება, წაადგება ჩვენს დედაქალაქსა და ქვეყანას. როდესაც ჯანსაღი კონკურენტი გყავს, ცდილობ, უკეთესად გააკეთო საქმე. არც ეს შემთხვევა იქნება გამონაკლისი. ჯანსაღ კონკურენციაზეა აგებული ყველაფერი ყველა ცივილიზებულ სახელმწიფოში, ბიზნესით დაწყებული, სახელმწიფო ჩინოვნიკის მუშაობით დასრულებული. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში წინასაარჩევნოდ გამართული მთელი ის კამპანია რა არის, თუ არა ჯანსაღი კონკურენცია? ჯანსაღი კონკურენცია გამორიცხავს ყოველგვარ კინკლაობას, ჯიბრში ჩადგომას. თითოეული მათგანი შეეცდება, მეტი წარმატება ჰქონდეს თავის საქმიანობაში. ამაში, კარგის გარდა, ვერაფერს ვხედავ. მთავარია, ეს არ გადაიზარდოს ჩვენს მამაპაპურ ქართულ კინკლაობასა და ერთმანეთისადმი კვანტის დადებაში, ერთმანეთისთვის კომპრომატების შეგროვებაში.

ზოგადად, რაც მეტი კონკურენცია იქნება, კარგია ქვეყნის განვითარებისთვის. თუ დასრულდება კლანური ინტერესების ლობირება ნებისმიერ სფეროში, მათ შორის ხელისუფლების მაღალ ეშელონებში, ეს მხოლოდ წაადგება ჩვენი ქვეყნის განვითარებასა და წინსვლას. დღეს ჯანსაღი კონკურენცია არ არის. ჯანსაღი კონკურენცია არ არის არც ბიზნესში და არც სხვაგან. ყველგან არის კარტელური გარიგებები და პარტიული სოლიდარობა. თუ თანაპარტიელია, რაც არ უნდა დააშავოს, ცუდი არ უნდა თქვა. ეს რომელი ევროპული თუ დემოკრატიული წესია? ეს რა ქურდული მენტალიტეტია! ვერ გავიგე, ასე გვინდა დემოკრატიული სახელმწიფოს აშენება?! თუ დააშავა, უნდა თქვა, რომ დააშავა და აღარ განმეორდება.

***— ვისზე მიანიშნებთ?***

— კალაძე მეთოდოლოგიურად ცვლის ნარმანიას მიერ მიღებულ ყველა იდიოტურ გადაწყვეტილებას, მაგრამ გამოდის და ამბობს, რა ექნა, ცუდი მემკვიდრეობა მიიღო.

კონკურენციის არარსებობა და კლანური, კარტელური გარიგებაა ის, რაც ხდება, მაგალითად, წამლის ბიზნესში. აბა, როგორ შეიძლება, ის, რაც ხდება ჩვენთან ამ სფეროში, ბიზნესკონკურენციით აიხსნას? ეს წარმოუდგენელია. ამიტომ ყველგან უნდა იყოს ჯანსაღი კონკურენცია. ამ დროს იგებს ხალხი, საზოგადოება, ქვეყანა.

***— ჩემს კითხვას რომ დავუბრუნდეთ, შეიძლება ერთიც და მეორეც განვიხილოთ, როგორც მომავალი პრემიერი?***

— სავსებით რეალურია. ერთიც და მეორეც შეეცდება დაამტკიცოს, რომ ის ღირსეული პრემიერი იქნება. ჩვენ უკვე ვხედავთ კალაძის გადაწყვეტილებებს, რაც ჯერ მხოლოდ შექებას იმსახურებს და ასევე ეს ბოლო დღეებია გამოჩნდა გახარიას ინიციატივები, გადაწყვეტილებები, როგორც შინაგან საქმეთა მინისტრის, რაც მხოლოდ ქებას იმსახურებს. რას ამტკიცებს ამ გადაწყვეტილებებით ერთიც და მეორეც? ამტკიცებს იმას, რომ ისინი არიან დამოუკიდებელი ლიდერები და ესოდენ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს იღებენ პიროვნულად, საკუთარი პასუხისმგებლობის ხარჯზე და არა ვიღაცის მითითებით. ამით კი ამტკიცებენ, რომ ლიდერები არიან. მე ამაში, სიმართლე გითხრათ, ცუდს ვერაფერს ვხედავ. როდესაც საკუთარ ავტორიტეტს, საკუთარ თავს დებ სასწორზე, იქ კლანური ინტერესები, ვიღაცისთვის ანგარიშის გასაწევი სივრცე აღარ რჩება. ეს არის ჩვენთვის, საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი.

***— გახარია კრიმინალური პოლიციის რეფორმირების ინიციატივით გამოვიდა...***

— დიახ და ეს კარგია. ასევე კარგია, რომ ის გამოდის პრესასთან, ჟურნალისტებთან და მათთან კონტაქტობს. კი არ გაურბის, არამედ აცნობიერებს, რომ ის ჟურნალისტების მეშვეობით ესაუბრება ხალხს, საზოგადოებას, რომლისთვისაც ატარებს რეფორმას. ეს მხოლოდ კარგია და ამას მოვუწონებ. საჯარო მოხელემ, მინისტრმა, რომელსაც არ აქვს გაცნობიერებული, რომ პრესასთან კომუნიკაცია არის მისი პირდაპირი მოვალეობა, რომ ის ამით საზოგადოებასთან ურთიერთობს, უარი უნდა თქვას თანამდებობაზე, რადგან ის ვერაფერს თავს ვერ გაართმევს. ეს არის როგორც ორჯერ ორი ოთხი.

რომ დავუბრუნდე თქვენს შეკითხვას, რაც უფრო მეტი რეალური კანდიდატი იქნება პრემიერ-მინისტრის პოსტზე, მით უკეთესია. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ ვიზრდებით, როგორც სახელმწიფო, წინ მივდივართ.

***— მახსოვს, შევარდნაძის მმართველობის დროს საზოგადოებას ეუბნებოდნენ, რა ვქნათ, ალტერნატივა არ არსებობს, ვინ უნდა შეცვალოს შევარდნაძეო?!***

— სწორად გახსოვთ. ეს მიდგომა წარსულს უნდა ჩაბარდეს.

***— გახარია რამდენად ჩამოყალიბდება, როგორც ლიდერი?***

— მან ეს თვისებები უკვე გამოავლინა. მერწმუნეთ, ასეთი მარტივი არ არის ის გადაწყვეტილებები, რომლებიც მან უკვე მიიღო, თანაც გვითხრა, რომ კრიმინალური პოლიციის რეფორმა მოხდება. ეს ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებაა.

ასევე, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი, რაც მგონია, არის ის, რომ არცერთ ხელმძღვანელ პირს არ უნდა ჰქონდეს განცდა, რომ ის ხელშეუხებელია. აქ იწყება ყველა უბედურება. თუ თანამდებობის პირმა ირწმუნა, რომ ის შეუცვლელია, უკონკურენტოა, დაღუპავს საკუთარ თავსაც და სხვებსაც. ცხადია, აქ მასშტაბებს გააჩნია. თუ ეს პირი ქვეყნის ლიდერია, მაშინ ქვეყანას დაღუპავს.

გახარიამ უნდა გაისიგრძეგანოს, რომ შეუცვლელი არავინ არის და მათ შორის თავადაც. ეს როგორც „მამაო ჩვენო“, ისე უნდა იმეოროს ნებისმიერმა სახელმწიფო მოხელემ. თუ ამას გააცნობიერებს და ამ მიდგომით დაიწყებს ყველა სამუშაო დილას, მაშინ ეს საქართველოში რევოლუციური სიახლე იქნება.

# პარლამენტი ახალი მანქანების შესაძენად 855.000 ლარს დახარჯავს

შორენა მარსაგიშვილი

საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი უკიდურეს გაჭირვებაშია, რასაც ხელისუფლება ნაწილობრივ აღიარებს. „ქართული ოცნება“, ნაციონალური მოძრაობის მსგავსად, ყოველ წელს იწყებს ქამრების შემოჭერის პოლიტიკას, რომელიც ბოლოს ხალხისთვის ყელზე ყულფის შემოჭერით მთავრდება ხოლმე.

ამ ტენდენციას მხარი უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომაც აუბა. რამდენიმე დეპუტატმა მოკრძალებულად მოითხოვა ხელფასის გაზრდა, მაგრამ ხალხის რისხვის შეეშინდათ და დროებით დადუმდნენ.

საინტერესოა ისიც, რომ ხელფასების გაზრდას ის პარლამენტი ითხოვს, სადაც, სულ მცირე, 41 მილიონერი დეპუტატია.

მართალია, ხელფასები ვერ გაიზარდეს, მაგრამ ახალ მანქანებზე უარის თქმას არ აპირებენ. ძალიან მალე ჩვენი კანონმდებლები 2017 წელს გამოშვებული მანქანებით ივლიან.

ცნობილი გახდა, რომ საქართველოს პარლამენტის აპარატმა თანამდებობის პირებისთვის 2017 წელს გამოშვებული 19 ერთეული ავტომანქანა „სედანის“ შესყიდვის მიზნით ელექტრონული ტენდერი გამოაცხადა.

ახალი ავტომანქანების შესაძენად სახელმწიფო ბიუჯეტიდან 855.000 ლარია გამოყოფილი.

ტენდერში მონაწილეობის მსურველთა წინადადებების წარდგენა 15 დეკემბერს დაიწყება და 18 დეკემბერს, 12:00 საათზე დასრულდება.

„რეგინფოს“ ინფორმაციით, თითოეული ავტომანქანის ღირებულება საშუალოდ 45.000 ლარს შეადგენს.

მათი შემსყიდველისათვის მიწოდება ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ ხელშეკრულების დადებიდან 120 კალენდარული დღის ვადაში უნდა მოახდინოს.

სატენდერო დოკუმენტების მიხედვით, ყველა ავტომანქანა უნდა იყოს არაუადრეს 2017 წელს გამოშვებული, ვერცხლისფერი, მარცხენასაჭიანი და შავი ფერის სალონით.

ვიღაცამ შეიძლება თქვას, დეპუტატები ძველი მანქანებით ხომ არ ივლიან, ეს ქვეყნის პრესტიჟიაო.

ეტყობა, ქვეყნის პრესტიჟის საქმეა, ორი პარლამენტის შენობა რომ გვაქვს და ბიუჯეტს მათი შენახვა ორმაგი უჯდება.

დეპუტატების თბილისიდან ქუთაისში სიარულსა და იქ მათთვის ბინის ქირასაც ბიუჯეტი ანაზღაურებს. მერე რა, რომ ეს დამატებით რამდენიმე მილიონი ჯდება. მთავარი ის არის, რომ კანონმდებლები თავს კარგად გრძნობენ.

მომავალში კიდევ უფრო კარგად იგრძნობენ თავს, რადგანაც 2017 წელს გამოშვებულ ავტომანქანებში ჩასხდებიან.



## რა შემთხვევაში უნდა ეწეროს ხილის წვენის ეტიკეტზე „სუფთა“

საქართველოს მთავრობამ 7 დეკემბერს „ხილის წვენის და ადამიანის მოხმარებისათვის განკუთვნილი სხვა მსგავსი პროდუქტების შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტი მიიღო. რეგლამენტი სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ევროკომისიის ვალდებულებისა და CODEX ALIMENTARIUS-ის მოთხოვნების შესაბამისად შემუშავდა.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცნობით, რეგლამენტი მიზნად ისახავს ხილის წვენის, ხილის ნექტარის, ხილფაფის, ხილის კონცენტრირებული წვენის და ადამიანის მოხმარებისათვის განკუთვნილი სხვა მსგავსი პროდუქტებისათვის წარმოების, გადამუშავების და დისტრიბუციის ეტაპებზე რეგულირების ერთიანი პრინციპების განსაზღვრას და მომხმარებელთა უფლებების დაცვას.

მაგალითად, რეგლამენტის თანახმად, თუ ხილის ნექტარში შაქარი ბუნებრივად არსებობს, ეტიკეტზე განთავსებული უნდა იქნეს ინფორმაცია: „შაქრის გარეშე“ ან/და „დამატკბობლის გარეშე“ ან „შაქრის ბუნებრივი შემცველობით“; ხილის წვენის ეტიკეტზე ტერმინები „სუფთა“, ან/და „100%-იანი“ კი შესაძლებელია გამოყენებული იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხილის წვენი არ შეიცავს არანაირ დანამატებსა და ინგრედიენტებს, მათ შორის, ასკორბინის მჟავას და წარმოდგენილია მხოლოდ ხილის წვენით და სხვ.

რეგლამენტი ძალაში მიღებიდან რვა თვეში, 2018 წლის 1 ივლისიდან შევა.

## ხელისუფლება მერაბიშვილს უპირობოდ გაათავისუფლებს?

სტრასბურის სასამართლოს მიერ ვანო მერაბიშვილის საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებას კიდევ ერთხელ ეხმაურება მისი ადვოკატი ოთარ კახიძე და ხელისუფლებას მოუწოდებს, უკანონო ქმედებებით ქვეყნის ინტერესები არ დააზიანონ. კახიძის თქმით, ხელისუფლებამ დროულად უნდა გადადგას შესაბამისი ნაბიჯები და უზრუნველყოს მერაბიშვილის უპირობო და დაუყოვნებლივი გათავისუფლება სასჯელაღსრულების სისტემიდან:

— ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტმა, რომელიც გახლავთ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს აღმასრულებელი ორგანო, გამოსცა რეზოლუცია. საქმე ეხება აზერბაიჯანის მოქალაქე ილგარ მამედოვს. მის საქმეზე დადგინდა მე-18 მუხლის დარღვევა, ისევე, როგორ ვანო მერაბიშვილის საქმეზე და მინისტრთა კომიტეტი სთხოვს აზერბაიჯანის ხელისუფლებას უპირობო და დაუყოვნებლივ გათავისუფლებას. ილგარ მამედოვი, ვანო მერაბიშვილის მსგავსად, ციხეში იმყოფება 2013 წლის პირველი ნახევრიდან. მას, ვანო მერაბიშვილის მსგავსად, 2014 წელს გამოუტანეს გამამტყუნებელი განაჩენი.

მიუხედავად ამისა, მინისტრთა კომიტეტი მიუთითებს, რომ მე-18 მუხლის დარღვევის შემთხვევაში ყველა განმცხადებელი თავისუფლდება და მოუწოდებს აზერბაიჯანის ხელისუფლებას, დაუყოვნებლივ გაათავისუფლოს განმცხადებელი.

ეს არის ასევე მოწოდება საქართველოს ხელისუფლების მიმართაც, ვინაიდან ადამიანის უფლებათა სასამართლოს დიდმა პალატამ, უფრო მაღალი ლეგიტიმაციის სასამართლომ, ვიდრე ეს იყო მამედოვის შემთხვევაში, დაადგინა მე-18 მუხლის დარღვევა, რომ ხელისუფლება იყენებდა მერაბიშვილის პატიმრობას პარტიის თავმჯდომარეზე ინფორმაციის გამოძალვის მიზნით და, შესაბამისად, ეს არის იგივე მოწოდება საქართველოს ხელისუფლებისადმი, ვინაიდან იდენტურია საქმეები და შემთხვევები. ორივე შემთხვევაში დადგინდა მე-18 მუხლის დარღვევა და, თუ ჩვენ არ გვინდა, საქართველოს ხელისუფლების უკანონო მოქმედებებმა დააზიანოს ქვეყნის ინტერესები, საზოგადოებამ უნდა მოვუწოდოთ ჩვენს ხელისუფლებას, დროულად გადადგას შესაბამისი ნაბიჯები და უზრუნველყოს მერაბიშვილის უპირობო და დაუყოვნებლივი გათავისუფლება სასჯელაღსრულების სისტემიდან, — განაცხადა ოთარ კახიძემ.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „თბილისში საგზაო სამუშაოებს გატუზოს კომპანია შეასრულებს, ავარიულ კორპუსებს მალდინი მიხედავს“

## ნაციონალები თბილისის მერს კორუფციულ გარიგებაში ადანაშაულებენ

შორენა მარსაგიშვილი

ნაციონალური მოძრაობა დედაქალაქის მერიას კორუფციულ გარიგებაში ადანაშაულებს. თბილისის საკრებულოს დეპუტატ ლევან ხაბეიშვილს ეჭვებს მილანურ კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულება უჩენს.

მისი თქმით, თბილისში საახალწლო განათებების შესაძენად კომპანია თბილისის მერიამ კორუფციული სქემის მეშვეობით შეარჩია. ყველაზე საინტერესო ისაა, რომ ამ კომპანიას ანგარიშები მილანში აქვს.

– საინტერესო დეტალია, რომ ტენდერის გარეშე, ერთ პირთან მოლაპარაკების გზით გაფორმდა ხელშეკრულება იტალიურ კომპანიასთან, რომელსაც „შემთხვევით“ საბანკო ანგარიშები მილანში აქვს. გვაქვს ლეგიტიმური შეკითხვა, ამიტომ საგამოძიებო უწყებებს ვთხოვთ, დაინტერესდნენ, ვის დაესიზმრა, მილიონობით კომპანიაში მაინცდამაინც ის კომპანია აერჩია, რომელიც იტალიაშია დაფუძნებული და მისი ანგარიშები არის მილანში, – ამბობს ლევან ხაბეიშვილი.

მას იმის გარკვევაც აინტერესებს, რატომ ხდება სამჯერ მეტი თანხის გადარიცხვა თბილისის ბიუჯეტიდან განათებებისთვის, ვიდრე ოდესმე გადარიცხულა.

– საქმე ხომ არ გვაქვს კონკრეტულ კორუფციულ გარიგებასთან, ხომ არ ველოდოთ, მაგალითად, საგზაო სამუშაოებზე თბილისში შემდგომში ჯენარო გატუზოს ან ალესანდრო ნესტას კომპანიების გამოჩენას? ავარიულ კორპუსებს შემთხვევით პაოლო მალდინის კომპანია ხომ არ მიხედავს? მარტივი და ლოგიკური შეკითხვა გვაქვს და ამაზე პასუხი კახა კალაძემ უნდა გასცეს, ვინ და როგორ მოიძია მილიონობით კომპანიას შორის მაინცდამაინც ის კომპანია, რომელსაც ანგარიშები მილანში აქვს, – აცხადებს საკრებულოს დეპუტატი.

მის ბრალდებებს მალევე გამოეხმაურა მილანის ყოფილი მცველი კახა კალაძე, რომელიც ახლა დედაქალაქის მერად მუშაობს.

კალაძე ამტკიცებს, რომ კომპანია, რომელმაც თბილისი საახალწლოდ უნდა მორთოს, მას არ შეურჩევია. ამის მიუხედავად, მან იცის, რომ მილანურმა კომპანიამ გასულ წელს ლონდონი მორთო და საყოველთაო მოწონება დაიმსახურა.

– მე უფლებამოსილებას შევუდექი ნოემბრიდან, ეს ხელშეკრულება გაფორმებული იყო სექტემბრის ბოლოს, ოქტომბრის დასაწყისში, შესაბამისად, სწორი გადაწყვეტილება იყო. კანონი არ კრძალავს ერთ პირთან მოლაპარაკებას, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ კომპანია, რომელთანაც იქნა გაფორმებული 620.000 ევროს ხელშეკრულება, არის მსოფლიოში ერთ-ერთი წამყვანი კომპანია. სხვათა შორის, გასულ წელს ამ კომპანიის მიერ იქნა მორთული ლონდონი წინასაახალწლოდ და მან მიიღო აღიარება, რომ საუკეთესოდ მორთული იყო ინგლისის დედაქალაქი, – ამბობს ნაციონალების ბრალდების საპასუხოდ დედაქალაქის მერი.




მისი თქმით, მას უნდა, რომ თბილისი ლონდონივით ლამაზად იყოს მორთული.

– ჩვენც გვაქვს პრეტენზია, რომ ჩვენი ქალაქი იყოს საუკეთესო და ყველაზე ლამაზი, – განაცხადა კახა კალაძემ.

ხაბეიშვილს კალაძის განმარტებები არასაიმედოდ ეჩვენება. მისი თქმით, ყოფილი მერი მილანს ვერ გაქაჩავდა.

– ფაციფუცა ნარმანია მილანამდე ვერ გაქაჩავდა. აქ ნათლად ჩანს, თუ ვისი ხელი ურევია ამ საქმეში. ყველამ ვიცით, ვის აქვს მილანთან კავშირები, – აღნიშნავს ხაბეიშვილი.

მისი თქმით, ცუდი არ არის, რომ თბილისი ლამაზად იქნება მორთული, მაგრამ მშიერი ხალხისთვის ამას მნიშვნელობა არა აქვს.

ის ძალიან აღშფოთებულია იმით, რომ კალაძეს მხოლოდ საახალწლო განათების „ჟილკა“ აქვს.

– კალაძე გვეუბნება, რომ აქვს პრეტენზია, თბილისი ყველაზე ლამაზად იყოს მორთული. ამისთვის სამჯერ მეტ თანხას ხარჯავს, წინა წლებთან შედარებით. ამ დროს ის აცხადებს, რომ უფასო სასადილოების დაფინანსება არ გაიზრდება და მომავალ წელსაც 40.000 ადამიანმა დღეში 1.18 თეთრი უნდა იკმაროს.

მხოლოდ განათებებით შემოიფარგლება შენი ამბიციები, კალა? ლონდონის მსგავსად რომ შეამცირო ბიუროკრატია (5.700-დან 800-მდე)? ცხოვრების დონე რომ გახდეს ლონდონის მსგავსი? ლონდონისა და თბილისის პენსიონერების დონე რომ ერთნაირი იყოს, ეგ ამბიცია არ გაქვს? მხოლოდ განათების „ჟილკა“ გაქვს?! – ეხმაურება კალაძეს საკრებულოს დეპუტატი.



მისი თქმით, მილანური კომპანიის მიერ მორთულ თბილისში ბევრი ადამიანი მშიერი და გაყინული იქნება. თბილისის რამდენიმე უბანში ბუნებრივი აირის საფასურის ფასი 5 თეთრით გაიზარდა.

– დიდი დიღმისა და ვარკეთილის მოსახლეობისთვის ბუნებრივი აირის საფასური გაიზარდა. ეს გასულ წელს იყო გადაწყვეტილი, მაგრამ შარშან ბიუჯეტიდან მოხდა სუბსიდირება – წინ საპარლამენტო და თვითმმართველობის არჩევნები იყო.

ახლა არჩევნები ჩაატარეს და ბუნებრივი აირი გაძვირდა. ეს იმას ნიშნავს, რომ ვარკეთილში კიდევ უფრო ბევრ ადამიანს მოუწევს სიცივეში ცხოვრება. 1.000-ზე მეტ ოჯახს აქამდეც უჭირდა ბუნებრივი აირის საფასურის გადახდა, ახლა ხომ წარმოგიდგენიათ, რა იქნება. ზამთრის გატარება სიცივეში მოუწევთ, მაგრამ ეცოდინებათ, რომ თბილისი ლონდონივით არის მორთული, – აცხადებს ხაბეიშვილი.

* * *

მილანის ყოფილი მცველი მილანური კომპანიის დაგმობამ ძალიან გაამწარა. ცხელ გულზე დედაქალაქის მერმა მედიას ჰკითხა, ხაბეიშვილი ვინაა, სერია ა-ში არ უთამაშია და არ მეცნობაო. ის ბოლოს იმით გაიხსენა, რომ მერიასთან გამართული აქციისას წნევამ აუწია.

– ხაბეიშვილი რომელია, მერიასთან წნევამ რომ აუწია? – მილანურ სტილში იხუმრა თბილისის მერმა.

ლევან ხაბეიშვილმა სინანული გამოთქვა, რომ კალაძეს მეხსიერებასთან დაკავშირებით პრობლემები შეექმნა. მან ის აქტივობები გაიხსენა, რომლის ხათრითაც მოქმედ მერს მწარედ უნდა ახსოვდეს.

– ბატონო კახა, მე ის ხაბეიშვილი ვარ, თქვენი უდიპლომო ცოლისძმა რომ გავათავისუფლებინე თანამდებობიდან და საქმე აღვაძვრევინე ანტიკორუფციულში. კორუფციაში რომ ვამხილე სრულიად მერია და შემდეგ გზადაგზა ამ ადამიანების ან მოხსნა, ან დაკავება უწევდათ.

მე ის ხაბეიშვილი ვარ, ნარმანიას მეორედ კანდიდატად არდაყენებაში ლომის წილი რომ დაიდო მეგობრებთან ერთად.

მე ვარ ლევან ხაბეიშვილი, რომელმაც სამი ინსტანცია სასამართლო მოუგო თქვენს წინამორბედ მერს. მე ვარ ის ხაბეიშვილი, რომლის დედაც თქვენი დავალებით ყაზტრანსგაზიდან (თქვენმა მეგობარმა) გაათავისუფლეს და ეს გადაწყვეტილებაც სასამართლოს ძალით თავზე დაგახიეთ.

კარგად დამიმახსოვრეთ და იცოდეთ, რომ ნარმანიას გზას გაგიყენებთ თქვენც და თქვენს მინიმაფიოზებსაც, – მიმართა საკრებულოს წევრმა მერს.

# „საქართველოს კომერციული ბანკები მომგებიანობით ევროპისა და აზიის კონტინენტის სახელმწიფოთა შორის პირველ ადგილზეა“

ეკონომისტი მიხეილ დუნდუა „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე კომერციული ბანკების მომგებიანობის შესახებ წერს.

„ბიზნესპრესნიუსი“ პოსტს უცვლელად გთავაზობთ:

– 1. მეტი დაზუსტებისათვის : საერთაშორისო სავალუტო ფონდის ინფორმაციით, სადეპოზიტო-საბანკო სისტემებს შორის კაპიტალუკუგების (ROE) მაჩვენებლის მიხედვით საქართველო ევრაზიაში ჩამორჩება მხოლოდ ჩინეთის ჯუჯა პროვინცია მაკაოს (რომელიც ცალკე სახელმწიფო არც არის) – ჩვენთან ROE არის 22.9%-ი, ხოლო მაკაოს პროვინციაში ROE არის 23.1%; ROA-ს (უკუგება აქტივებზე) მიხედვით კი საქართველო ჩამორჩება მხოლოდ ერთ აზიურ ქვეყანას. ეს არის ევრაზიის კონტინენტის მიღმა, ინდოეთის ოკეანეში არსებული სამხრეთაზიური სახელმწიფო მალდივი. ჩვენთან ROA არის 3.1%, მალდივის კუნძულზე კი – 3.5%.

2017 წლის 10 თვეში (იანვარ-ოქტომბერი):



2. ფიზიკური პირების დაკრედიტება ეროვნულ ვალუტაში გაიზარდა 1 მილიარდ 720 ლარით და უცხოურ ვალუტაში შემცირდა მხოლოდ 80 მლნ დოლარით.

3. სამეწარმეო სექტორის დაკრედიტება ლარში გაიზარდა მხოლოდ 409 მლნ ლარით, უცხოურ ვალუტაში კი 8 მლნ დოლარით.

4. ავტომობილების სუფთა იმპორტმა 10 თვეში 200 მლნ დოლარს გადააჭარბა და კვლავინდებურად მაღალია. შედარებისათვის, 2011-2012-2013 წლებში ეს მაჩვენებელი წელიწადში საშუალოდ 47 მლნ დოლარი იყო. ავტომობილების მოხმარების ზრდა კვლავინდებურად საცალო სესხებით არის სტიმულირებული და ეს ერთ-ერთი ეპიზოდური მაგალითია იმისა, თუ როგორ მოქმედებს თვითდინებაზე მიშვებული საცალო დაკრედიტება ქვეყნიდან სავალუტო რესურსების გადინებასა და საინვესტიციო დანაზოგების შემცირებაზე.

5. ბოლო 34 თვეში, 2 წელიწადსა და 10 თვეში საბანკო სექტორის წმინდა მოგება 1 მილიარდ 885 მლნ ლარს აჭარბებს, რაც ყველა (!!!) დანარჩენი წინა წლების ჯამურ მაჩვენებელს 240 მილიონით აღემატება.

6. საბანკო სექტორის 10 თვის წმინდა მოგებამ წელს 669 მლნ ლარს გადააჭარბა, რაც 259 მლნ დოლარის ეკვივალენტია. შედარებისათვის, 2016 წლის წლიური წმინდა მოგება სარეკორდო, 679 მლნ ლარი იყო, ანუ 257 მლნ დოლარი.

გამოსავალი:

7. უნდა შევასრულოთ სავალუტო ფონდის რეკომენდაცია,

სესხის მომსახურება/შემოსავალთან ლიმიტი უნდა დაწესდეს მხოლოდ შინამეურნეობებისათვის გასაცემ ყველა იპოთეკურ და არაიპოთეკურ სესხზე.

8. სესხის მომსახურება, ანუ სესხის დასაფარად ყოველთვიურად შესატანი თანხა უნდა იყოს მსესხებლის შემოსავლის 30%-ზე დაბალი, უცხოურ ვალუტაში კი 20%-ზე დაბალი.

4. კომერციულმა ბანკებმა არ უნდა მიაქციონ ზედმეტი ყურადღება გირაოს უზრუნველყოფას, შემოსავლის დადასტურების გარეშე სესხის გაცემა კი სამუდამოდ უნდა აიკრძალოს.

5. 2014 წელს სავალუტო ფონდი შეშფოთებას გამოხატავდა, როცა მიუთითებდა, რომ საბანკო სესხის ამღები პირების ერთი მესამედი თავისი შემოსავლის ნახევარზე მეტს ბანკის ვალის მომსახურებისთვის იხდისო და მოუწოდებდა ეროვნულ ბანკს ლიმიტების დაწესებისკენ. დღეს ეს მაჩვენებელ გაცილებით, გაცილებით მაღალი იქნება.

6. უნდა წახალისდეს ბიზნესსესხები, ანუ გირაოს უზრუნველყოფაზე უფრო მეტად ყურადღება უნდა მიექცეს სესხის დასამტკიცებლად წარდგენილ ბიზნესპროექტის სამომავლო შემოსავლიანობის მაჩვენებლებს. ეს საკითხის სავალუტო ფონდის რეკომენდაციის მიხედვით, ეროვნული ბანკის მიერ არის დასარეგულირებელი, – წერს დუნდუა.

# კახა კალაძე: „თბილისში მოპირკეთების გარეშე შენობები ექსპლუატაციაში აღარ მიიღება“

თბილისის მერმა არქიტექტურის სამსახურს მშენებლობების ფასადების მკაცრი გაკონტროლება მოსთხოვა. კახა კალაძის განცხადებით, არცერთ პროექტზე სამშენებლო ნებართვა არ გაიცემა, თუ იმ პროექტში გარე ფასადი წარმოდგენილი არ იქნება.

– არქიტექტურის სამსახურს მინდა დავავალო, რომ მშენებლობის ნებართვების გაცემის დროს მკაცრად გააკონტროლოს პროექტის შესაბამისობა შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესებთან. მათ შორის, ყურადღება უნდა მიექცეს პროექტის ფასადის ნაწილს, როგორიც არის გარე კედლებისა და გადახურვის ერთიან სტანდარტში მოქცევა. არცერთი სამშენებლო ნებართვა არ უნდა იყოს გაცემული, სადაც არ იქნება წარმოდგენილი, როგორი უნდა იყოს გარე ფასადი. ჩვენ მოპირკეთების გარეშე არც ერთი მშენებლობა ექსპლუატაციაში არ უნდა მივიღოთ და შესაბამისად, არ უნდა გავცეთ ნებართვები. ამ მიმართულებით სერიოზული კონტროლი არის საჭირო. ის, რაც ბოლო წლების განმავლობაში ხდებოდა ამ მიმართულებით, შედეგი სახეზეა. ასე გაგრძელება იქნება შეუძლებელი, – განაცხადა კალაძემ.

# ტექდათვალიერების საფასურს ნაღდი ფულით ვერ გადაიხდით



როგორც ცნობილია, მსუბუქი ავტომობილების ტექნიკური ინსპექტირება – 60 ლარი, ხოლო სატვირთო და სამგზავრო ავტომობილების – 100 ლარი ეღირება.

საქართველოში დღეს არსებული ინფრასტრუქტურა მოიცავს ტექნიკური ინსპექტირების 26 ცენტრს, სადაც დამონტაჟებულია ინსპექტირების 35 ხაზი, თუმცა ეკონომიკის სამინისტროში ვარაუდობენ, რომ წლის ბოლოს და მომავალი წლის განმავლობაში სავალდებულო, საერთაშორისო სტანდარტების მქონე ტექნიკური ინსპექტირების ცენტრების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზრდება.

როგორც ცნობილია, შვეიცარულმა კომპანია SGS-მ, რომელიც ეკონომიკისა სამინისტროს პერიოდული ტექნიკური ინსპექტირებისთვის მომზადების პროცესში კონსულტაციას უწევს, გამოაქვეყნა ანგარიში, რომელიც ეხება პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრების შენობა-ნაგებობებისა და აღჭურვილობის მოთხოვნების განსაზღვრას, ასევე, პერსონალის ტექნიკურ კვალიფიკაციას.როგორც უწყებაში აცხადებენ, პროცესი იქნება გამჭვირვალე – პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების დროს აღრიცხვა-კონტროლის მონაცემები უწყვეტ რეჟიმში გადაეცემა და შეინახება ერთიან ელექტრონულ ბაზაში, ასევე ინსპექტირების ყველა ცენტრი აღჭურვილი იქნება ვიდეოთვალთვალის კამერებით და მომსახურების ღირებულების ანაზღაურება მოხდება მხოლოდ უნაღდო ანგარიშსწორებით.

# „ქვემო ქართლის სკოლებში ვაჰაბიტები თავისუფლად შედიან“

## ნიკოლოზ მჟავანაძე: „უმაღლეს სასწავლებლებში ახალგაზრდებს სულიერად კლავენ“

შორენა მარსაგიშვილი



რა ხდება სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში, რატომ უნდა დაბრუნდეს ეკლესია სკოლებში, როგორ მუშაობენ ვაჰაბიტები მოსწავლეებთან? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ უფლებადამცველთა გაერთიანების თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე ესაუბრება.

**ნიკოლოზ მჟავანაძე:**

– დღეს ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ სკოლებში საშინელი ვითარებაა. ეს მართლაც ასეა და შექმნილი ვითარების გამოსწორებას მხოლოდ განათლების სისტემის რეფორმა უშველის. ვიცით, რომ მანდატურებს არაფრის უფლება აღარ აქვთ. ამ ყველაფერს ემატება ის, რომ ბავშვებს სულიერო საზრდო მოაკლდათ.

შექმნილ ვითარებაში საუკეთესო გამოსავალი იქნება, თუ სკოლებში სასულიერო პირები შევლენ და ბავშვებს დაელაპარაკებიან. როცა სკოლებში სასულიერო პირების შესვლაზე ვსაუბრობ, ისინი არ მყავს მხედველობაში, ვინც იმაზე ისაუბრებს, რუსეთია კარგი თუ ამერიკა. სკოლაში თეოლოგებმა უნდა იმუშაონ.

კარგად ვიცი, რაც მოჰყვება ჩემს ინიციატივას. უჩა ნანუაშვილის რეკომენდაციით, ბავშვები სკოლებიდან ექსკურსიებზე რომ მიჰყავთ, ეკლესიებში შესვლა ეკრძალებათ. მოტივი ასეთია, რომ შესაძლოა ბავშვებში სხვა აღმსარებლობის ბავშვიც იყოს და მისი უფლებები შეილახოს.

ეს სისულელეა. ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ უნდა ავყვეთ ფსევდოლიბერალებს. მაგათ თუ ავყევით, შეიძლება ქვეყანას სახელიც კი შეუცვალონ.

***– ქვეყანას სახელი როგორ უნდა შეუცვალონ?***

– ძალიან მარტივად, იტყვიან, არ შეიძლება ამ ქვეყანას საქართველო ერქვას, რადგან აქ ქართველების გარდა კიდევ სხვა ეროვნების ხალხის ცხოვრობსო. ვიცი, რომ ჩემს ინიციატივას ფსევდოლიბერალებიდან დიდი წინააღმდეგობა მოჰყვება, მაგრამ მას ბევრი მხარდამჭერი ჰყავს. იმ მიმართვას, სადაც ვამბობ, სკოლებში რელიგია დააბრუნეთო, 200.000 ნახვა აქვს. ეს პატარა ციფრი არ არის. ეს იმას ნიშნავს, რომ ხალხიც მიესალმება სკოლებში რელიგიის დაბრუნებას.

რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ამ ინიციატივას საპატრიარქოც მიესალმება. პატრიარქიც თანახმაა და, სავარაუდოდ, ამაზე საშობაო ეპისტოლეში ან რომელიმე ქადაგებაში იქნება საუბარი.

სკოლების გარდა, ეკლესია უმაღლეს სასწავლებლებშიც უნდა შევიდეს. იქ ამ მხრივ მთლად კატასტროფული ვითარებაა. იქ ახალგაზრდებს სულიერად კლავენ. ამ მხრივ განსაკუთრებით კატასტროფული ვითარებაა ილიაუნში.

ხშირი შეხება მაქვს სტუდენტებთან. ისინი მეუბნებოდნენ, საპატრიარქოს წინააღმდეგ უნდა შევიტანოთ სარჩელი, რატომ აქვს მას ბიუჯეტიდან დაფინანსება და სხვა კონფესიებს არაო. ახალგაზრდები საკონსტიტუციოში იმაზეც აპირებენ სარჩელის შეტანას, რომ ქართველები საქართველოში რაღაც პრივილეგიებით სარგებლობენ.

ამით იმის თქმა მინდა, რომ ცდილობენ, ბავშვები უსულგულო არსებებად აქციონ, რომლებისთვისაც არც სამშობლოს ექნება რაიმე ფასი და არც რელიგიას. თავის დროზე ილიაუნში არ შეუშვეს თეოდორე გიგნაძე, რომელიც ძალიან ძლიერი თეოლოგია. მას სურდა, ახალგაზრდებისთვის თვეში ერთხელ რელიგიის ისტორიაში წაეკითხა ლექციები.

თეოდორე გიგნაძე არ შეუშვეს, სამაგიეროდ, დიდი სიხარულით მიიღეს იქ დეისაძეები და ბერძენიშვილები. ეს იგივეა, რომ ცხვრის ფარაში მგელი შეუშვა. დღეს ამ ადამიანების წყალობით მიდის ახალგაზრდობის კვდომა. აი, ეს ქმნის მოზარდებში პრობლემებს. მათ ვერანაირი სამართალდამცავი ვერ აღმოფხვრის. სანამ სულიერება არ იქნება, მოზარდებში ძალადობას ვერ აღმოფხვრიან.

***– თქვენი აზრით, მანდატურის სამსახურის გაძლიერება და სკოლებთან პატრულის დაყენება ამ პრობლემას ვერ მოაგვარებს?***

– ნაწილობრივ მოაგვარებს. სკოლებში და სკოლის წინ აღარ იქნება კონფლიქტი, მაგრამ ისინი სხვა ადგილზე წავლენ. პატრულმა როგორ უნდა მოაგვაროს ეს პრობლემა, როცა განათლების სისტემა აპირისპირებს ერთმანეთთან ბავშვებს.

***– რას გულისხმობთ?***

– შემოიღეს გაკვეთილები, გამოჰყავთ დაფასთან ბავშვი, დანარჩენებს ეუბნებიან, თუ ამას ჩაჭრით, თქვენ ქულები მოგემატებათო. ეს რა უბედურებაა? ის ბავშვი, რომელსაც ჩაჭრიან, ხომ დაიმახსოვრებს, ვინ ჩაჭრა და შეეცდება, იმას სამაგიერო გადაუხადოს. ამან შეიძლება ბავშვები ერთმანეთს გადაჰკიდოს. სხვა ქვეყანაში შესაძლოა ეს სისტემა ამართლებს, მაგრამ საქართველოში სხვა ვითარებაა, სხვა მენტალიტეტია.

არც ის არის კარგი, რომ განათლების მინისტრები ასეთი სიხშირით იცვლებიან. ამხელა პრობლემებია სკოლებში და ყოფილი მინისტრი ვაშლებსა და ნაცარქექიაზე ლაპარაკობდა.

ნათქვამია, სანამ ურემი არ გადაბრუნდება, გზა არ გამოჩნდებაო. ხორავას ქუჩაზე მომხდარმა ტრაგედიამ ყველას დაგვანახა, რომ სკოლებში სერიოზული პრობლემებია. ამ პრობლემებთან გამკლავება მხოლოდ სულიერებით შეიძლება. დღეს ჩვენს შვილებს სულიერად კლავენ.

სკოლებში მეტი სულიერება რომ ყოფილიყო, მკვლელობაში ბრალდებული ბავშვები ამ დანაშაულს არ ჩაიდენდნენ. როგორც მე ვიცი, ისინი სკოლაში ძალიან კარგად სწავლობდნენ. ახალგაზრდებს სულიერება აკლიათ და ამიტომაც ხდება ამდენი საშინელება.

სკოლა ადამიანის ჩამოყალიბებაში დიდ როლს ასრულებს. იმის სწავლებას, ჩანგალი როგორ დაიჭირონ და ხელი როგორ დაიბანონ, არ სჯობია, რელიგიის ისტორია წაიკითხონ? სექსის გაკვეთილების ჩატარება თუ შეიძლება, თეოლოგებმა რატომ არ უნდა იმუშაონ ბავშვებთან.

ეკლესია სკოლებიდან განდევნეს. ამ დროს ქვემო ქართლის სკოლებში ბავშვებთან თავისუფლად შედიან ვაჰაბიტები და ათასი სისულელით უტენიან მათ თავს.

***– რა სტატუსით შედიან სკოლებში ვაჰაბიტები?***

– რაღაც ფორმა აქვთ მონახული. ფაქტი ისაა, რომ მათ მოზარდებთან მუშაობის შესაძლებლობა აქვთ.

***– განათლების სამინისტრო, შსს და სუსი რას აკეთებენ?***

– ვერ გეტყვით, ისინი ამით უნდა დაინტერესდნენ. შესაძლოა, დაინტერესებულიც არიან. ხელისუფლებამ სათანადო ყურადღება უნდა მიაქციოს აჭარის რეგიონსაც. იქაც ძალიან რთული ვითარებაა. ძალიან ბევრს უჭირს, რითაც კარგად სარგებლობენ ბნელი ძალები.

ცნობილი ფაქტია, რომ გაჭირვებული ოჯახების შვილები სასწავლებლად მიჰყავთ მედრესეებში. გაკეთებულია პანსიონატები, საიდანაც ეს ბავშვები უკვე თურქეთში მიჰყავთ, საიდანაც სულ სხვა იდეოლოგიით ბრუნდებიან.

ეს წლების განმავლობაში გრძელდება და დროა, ამას ხელისუფლებამ მიხედოს. ჩვენ ძალიან ბევრ ახალგაზრდას ვკარგავთ. სულიერება მთავარია. ასე სწავლობენ მოზარდები კაცთმოყვარეობასა და ერთმანეთის სიყვარულს. კომუნისტების პერიოდს არ მივტირი, მაგრამ მაშინ ამ მხრივ უკეთესი მდგომარეობა იყო.

***– რა მხრივ იყო უკეთესი მდგომარეობა?***

– ბავშვებს ერთმანეთთან არ აპირისპირებდნენ, კაცთმოყვარეობას ასწავლიდნენ და უფრო მეტი სულიერება იყო.

***– მეტი სულიერება როგორ იყო, ეკლესია მაშინაც განდევნილი იყო სკოლებიდან, ბავშვებს კი იმაზე ზრდიდნენ, რომ ლენინს უყვარდა ბავშვები.***

– ეგ იდეოლოგია იყო ასეთი. მოდით, შევთანხმდეთ, რომ მაშინ ასეთი აგრესია არ იყო. მაშინ ბავშვები რაღაცით იყვნენ დაინტერესებული. ახლა ასე აღარ არის, ახალგაზრდებში სიძულვილია გამეფებული, რის შედეგებსაც ლამის ყოველდღე ვხედავთ.

ამ საყოველთაო სიძულვილსა და ახალგაზრდობის სულიერ მკვლელობას მარიხუანის დეკრიმინალიზაციაც დაემატა. ძველი რომაელები ტყუილად არ ამბობდნენ, რომ ჯანმრთელი სული ჯანმრთელ სხეულშია.

რომელ ჯანმრთელ სხეულზეა საუბარი, როცა ერის მასობრივი დაბოლება მიდის. რაიონებში კატასტროფული ვითარებაა. აქამდე თუ ჩუმად ეწეოდნენ მარიხუანას, ახლა გამოვიდნენ გარეთ და გაბოლილია მთელი საქართველო.

რაღაც სისულელეებს ბოდავენ, რომ მარიხუანა საშიში არაა. რა საშიში არ არის, ნებისმიერ ნარკოლოგს ჰკითხეთ და ისინი გეტყვიან, რომ რაც არ უნდა მსუბუქი ნარკოტიკი იყოს, ის ტვინის უჯრედების კვდომას იწვევს. მარიხუანის მოხმარებას დროთა განმავლობაში ჰალუცინაციები მოსდევს.

სულიერად ვკლავთ ახალგაზრდებს, ნარკოტიკების დეკრიმინალიზაციით ვუსპობთ ჯანმრთელობას და მერე გვინდა, რომ პატრულმა აღკვეთოს მოზარდებში ძალადობა? სისტემა სანამ არ შეიცვლება, არაფერი გამოვა.

განათლების ახალი მინისტრი ცოტა უფრო სერიოზულად მიუდგა თავის საქმეს და, იმედი მაქვს, ბოლომდე ასე სერიოზული დარჩება.

***– თავიდან არც ჯეჯელავა საუბრობდა კომბლეზე.***

– თავიდან, 2012 წელს, ბევრი რამე სხვანაირად ჩანდა და ბევრი რამე არ გვეგონა. მაშინ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ პარლამენტი სახალხო დამცველად ნინო ლომჯარიას აირჩევდა.

ისევ სკოლებში რელიგიისა და ეკლესიის დაბრუნებას დავუბრუნდები და, იმედი მაქვს, ასეც მოხდება. როგორც უკვე გითხარით, ამ იდეას ემხრობა საპატრიარქო და მას სოციალურ ქსელშიც დიდი გამოხმაურება და მოწონება მოჰყვა.

***– სოციალურ ქსელში თქვენს ინიციატივას უარყოფითი გამოხმაურებაც ჰქონდა.***

– ფსევდოლიბერალებისგან სხვას არც ველოდი. საბედნიეროდ, ისინი ბევრნი არ არიან.

***– ბევრნი არ არიან, მაგრამ ამინდს ქმნიან ქვეყანაში.***

– ამინდს იმიტომ ქმნიან, რომ ყველგან ეგენი არიან, ყველა ტელევიზიაში ეგენი სხედან და ეგენი ლაპარაკობენ. იმდენი ისაუბრეს მედიამ და ფსევდოლიბერალებმა მარიხუანის დეკრიმინალიზაციის აუცილებლობაზე, რომ ბოლოს მოხდა მისი დაკანონება.

ახლა იგივე ძალები პროსტიტუციის ლეგალიზებაზე ალაპარაკდნენ და ალბათ ამასაც მიაღწევენ. ერთი მხრივ, კარგია, ეს ადამიანები ხშირად რომ ჩანან ეკრანებზე, განსაკუთრებით – დაბოლილი „გირჩები“. თავისუფლად შეგვიძლია ვუთხრათ ახალგაზრდებს, რომ, თუ მარიხუანას მოიხმარენ, მათსავით გამოშტერდებიან.

# საქართველო 90-იანებიდან რუსეთის დანაშაულების მსხვერპლია

საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე გოჩა ლორთქიფანიძემ რომის სტატუტის წევრი ქვეყნების ასამბლეაზე სიტყვით გამოსვლისას რუსული აგრესიაზე, აგვისტოს ომსა და მცოცავ ოკუპაციაზე ისაუბრა – ინფორმაციას იუსტიციის სამინისტრო ავრცელებს.

ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მე-16 სესია ნიუ იორკში იმართება.

– გოჩა ლორთქიფანიძის განცხადებით, საქართველო, 90-იანი წლებიდან მოყოლებული, რუსეთის მხრიდან საერთაშორისო დანაშაულების მსხვერპლია, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის პერიოდში კი ჩადენილ იქნა ომისა და კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაულები. იუსტიციის მინისტრის მოადგილემ ხაზი გაუსვა საერთაშორისო მართლმსაჯულების აღსრულების მნიშვნელობას აგვისტოს ომის დროს დაზარალებულთათვის და განაცხადა, რომ ამისათვის საქართველოს სახელმწიფო ჰააგის სასამართლოსთან მჭიდროდ თანამშრომლობს.



როგორც გოჩა ლორთქიფანიძემ აღნიშნა, რუსეთ-საქართველოს ომის საქმე ჰააგის სასამართლოს გამოსაძიებელ საქმეებს შორის პირველი ევროპული კონფლიქტია; ასევე, პირველი საქმეა, რომელიც საერთაშორისო სამხედრო კონფლიქტის დროს ჩადენილი დანაშაულების გამოძიებას ეხება და სადაც გამოიკვეთა რუსეთის ფედერაციის ფაქტორი. ამიტომ მართლმსაჯულების აღსრულება ამ საქმეში მნიშვნელოვანია არა მარტო 2008 წლის ომის დროს დაზარალებულებისათვის ან საქართველოს, როგორც დაზარალებული ქვეყნისათვის, არამედ, ზოგადად, ჰააგის სასამართლოსათვის, – აცხადებს იუსტიციის სამინისტრო.

მათივე ცნობით, რომის სტატუტის წევრი ქვეყნების ინფორმირება საქართველოსათვის განსაკუთრებით ღირებულია ახლა, როდესაც ჰააგის სასამართლოს მიერ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის ფარგლებში ჩადენილი დანაშაულების გამოძიება ინტენსიურ ფაზაშია.

გარდა ასამბლეის მუშაობაში მონაწილეობისა, ქართული დელეგაცია შეხვდა რომის სტატუტის ხელმომწერ სახელმწიფოებს, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებს და ინფორმაცია მიაწოდა მათ 2008 წლის ომის დანაშაულების შესახებ. შედგა შეხვედრები პარტნიორი სახელმწიფოების დელეგაციებთან 2008 წლის ომის საქმის გამოძიებაში მხარდაჭერის მისაღებად. დელეგაცია შეხვდა, ასევე, ჰააგის სასამართლოს უმაღლესი თანამდებობის პირებს მიმდინარე გამოძიების ეფექტურად წარმართვისა და კოორდინაციის მიზნით.

ქართული დელეგაცია გოჩა ლორთქიფანიძის ხელმძღვანელობით ნიუ-იორკში სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს (ჰააგის სასამართლო) წესდების (რომის სტატუტის) ხელმომწერი სახელმწიფოების ასამბლეის მე-16 სესიაში მონაწილეობის მისაღებად იმყოფება. ასამბლეა 4 დეკემბერს გაეროს გენერალურმა მდივანმა ანტონიო გუტიერეშმა, ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პრეზიდენტმა სილვია ფერნანდეს გურმენდიმ და ჰააგის პროკურორმა ფატუ ბენსუდამ გახსნეს.

# ბიუჯეტიდან საპატრიარქოს საგანმანათლებლო დაწესებულებებს 456.313 ლარი გადაურიცხეს

საქართველოს მთავრობამ საპატრიარქოს საგანმანათლებლო დაწესებულებებს ნახევარ მილიონ ლარამდე განათლების სამინისტროს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადაურიცხა.



საქართველოს მთავრობამ 3 დეკემბერს გამართულ მთავრობის სხდომაზე მიღებული დადგენილებით საპატრიარქოს თბილისის სასულიერო აკადემიასა და სემინარიას 100.000 ლარის სახით დახმარება გაუწია.

საპატრიარქოს კიდევ ერთ საგანმანათლებლო დაწესებულებას „წმინდა კეთილმსახური მეფე თამარის სკოლა პანსიონს“ 356.313 ლარის ოდენობის ფინანსური დახმარება გაუწია.

ორივე დაწესებულებას ფული განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უნდა გადაურიცხოს.

# რატომ მოიკლა თავი 30 წლის ამირან კვირიკაშვილმა

## არასამთავრობოები ხარაგაულის პოლიციის თანამშრომლების თანამდებობიდან მოხსნას ითხოვენ

უფლებადამცველი არასამთავრობო ორგანიზაციები შინაგან საქმეთა სამინისტროსგან ითხოვენ, თანამდებობიდან გათავისუფლდნენ ხარაგაულის პოლიციის თანამშრომლები, რომლებიც მიზანმიმართულად ცდილობდნენ 30 წლის ამირან კვირიკაშვილის თვითმკვლელობის საქმეზე ობიექტური და დროული გამოძიების ჩატარებისთვის ხელის შეშლას.

ხარაგაულში მცხოვრებმა 30 წლის ამირან კვირიკაშვილმა თავი 4 ნოემბერს მოიკლა. ოჯახის წევრების ინფორმაციით, თვითმკვლელობამდე რამდენიმე დღით ადრე ის ადგილობრივ პოლიციაში დაიბარეს და ქურდობის გაუხსნელი ფაქტების აღიარებას აიძულებდნენ. თვითმკვლელობის ფაქტზე გამოძიება თავდაპირველად ხარაგაულის პოლიციამ დაიწყო, 5 დღის შემდეგ კი საქმე გამოსაძიებლად ქუთაისის საოლქო პროკურატურამ დაიქვემდებარა. გამოძიება სსკ-ის 115-ე მუხლით (თვითმკვლელობამდე მიყვანა) და 1443-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით (არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით) მიმდინარეობს.

ამირან კვირიკაშვილის მამას მიენიჭა დაზარალებულის უფლებამონაცვლის სტატუსი. იმავე საქმეში დაზარალებულის სტატუსი აქვს გარდაცვლილის ძმას არჩილ კვირიკაშვილს. მისი განმარტებით, ხარაგაულის პოლიციაში სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენებით, მის ძმასთან ერთად, მასაც აიძულებდნენ ქურდობის ფაქტების აღიარებას.



არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადებით, გამოძიების ამ ეტაპისთვის დაუდგენელი რჩება ძმები კვირიკაშვილების ადგილობრივ პოლიციაში დაბარების და რამდენიმესაათიანი დაყოვნების სამართლებრივი საფუძველი.

– საქმეში არსებული მასალები მიუთითებენ, რომ პოლიციის თანამშრომლებს არ ჰქონდათ ლეგიტიმური საფუძველი ამირან და არჩილ კვირიკაშვილის გამოკითხვისთვის, რაც აძლიერებს ამ საქმეში პოლიციელთა ბრალეულობას. აქვე უნდა ითქვას, რომ ეს შემთხვევა კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან მოქალაქეებთან არაფორმალური გასაუბრების პრობლემურ პრაქტიკას, – ამბობს „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის“ დირექტორი სოფო ვერძეული.

არასამთავრობო ორგანიზაციებს პრეტენზიები იმაზეც აქვთ, რომ დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურამ ამირან კვირიკაშვილის თვითმკვლელობის საქმე, თვითმკვლელობიდან ხუთ დღეში, 9 ნოემბერს დაიქვემდებარა, მანამდე კი გამოძიებას ხარაგაულის პოლიციის სამმართველო აწარმოებდა.

– არადა, კვირიკაშვილის თვითმკვლელობის დღიდანვე ცნობილი გახდა, რომ მისი ოჯახი და ახლობლები ამ ფაქტს ადგილობრივ პოლიციაში გარდაცვლილის „დაკითხვას“ უკავშირებდნენ, რაც ადგილობრივი პოლიციის მიერ ამ საქმის გამოძიების კომპეტენციას გამორიცხავდა. გამოძიებას ხუთი დღის განმავლობაში მაინც შსს წარმართავდა, რამაც ხელი შეუშალა დროული და ეფექტიანი გამოძიების წარმართვას ამ საქმეში, – აღნიშნავს სოფო ვერძეული.

მისივე თქმით, თავიდანვე ცხადი იყო ხარაგაულის პოლიციის დაინტერესება ამ საქმით, რაც ასევე დასტურდება მათ მიერ 5 დღის განმავლობაში წარმოებული გამოძიების მიმდინარეობით:

– ამ დროის განმავლობაში ხარაგაულის პოლიცია მუშაობდა თვითმკვლელობის საქმეში კონკრეტული, მათთვის ხელსაყრელი ვერსიის გამოკვეთაზე, რომელიც ამირან კვირიკაშვილის თვითმკვლელობის გადაწყვეტილებას მისი ჯანმრთელობის პრობლემებით და ეკონომიკური სიდუხჭირით ახსნიდა.

მისივე თქმით, ასევე პრობლემურია ის, რომ ხარაგაულის პოლიციის სამმართველოში ამ დრომდე აგრძელებენ მუშაობას ის თანამშრომლები, რომლებიც სავარაუდოდ მონაწილეობდნენ ამირან და არჩილ კვირიკაშვილზე განხორციელებულ ზეწოლაში და ამავე დროს, რამდენიმე დღის განმავლობაში ცდილობდნენ თვითმკვლელობის საქმეზე მათთვის ხელსაყრელი ვერსიის შექმნასა და ობიექტური გამოძიებისთვის ხელის შეშლას.

**მთისამბები.გე**

# 6 გახმაურებული საქმე, რომელთა გამოძიებასაც ომბუდსმენი დანიშვნიდან დღემდე ითხოვს

საქართველოს სახალხო დამცველი 2012 წლიდან დღემდე გახმაურებული საქმეების გამოძიების შედეგებს აჯამებს. როგორც ომბუდსმენის აპარატში აცხადებენ, სახალხო დამცველმა 2012 წლიდან დღემდე, საკუთარი ინიციატივით, არაერთი მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საქმე შეისწავლა, ასახა საპარლამენტო ანგარიშებში და გასცა რეკომენდაციები ეფექტიანი გამოძიების უზრუნველყოფის მიზნით.

თუმცა, როგორც აპარატში აცხადებენ, მთავარი პროკურატურიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ არაერთი საგამოძიებო მოქმედებაა ჩატარებული, ამ საქმეთა უმრავლესობაში დამნაშავე პირების გამოვლენა არ მომხდარა.

**ასეთ საქმეებს შორისაა:**

### 1. ბარბარე რაფალიანცის საქმე

საქართველოს სახალხო დამცველმა 2012 წლის სექტემბერში, საპარლამენტო არჩევნების წინა ღამეს, კახეთის რეგიონში გარდაცვლილ მცირეწლოვან ბარბარე რაფალიანცის ოჯახის წევრებთან შეხვედრის შემდეგ საჯაროდ მოუწოდა საგამოძიებო უწყებას გამოძიების დაჩქარებისა და დამნაშავეთა დასჯის მიზნით. მცირეწლოვან ბარბარე რაფალიანცის გარდაცვალების ფაქტზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების მიუხედავად, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისაცემი პირი დადგენილი არ არის და გამოძიება დღემდე გრძელდება. აღსანიშნავია, რომ დაზარალებულის უფლებამონაცვლის სტატუსი ბავშვის დედას მიენიჭა.

### 2. სოლომონ ქიმერიძის საქმე

საქართველოს სახალხო დამცველმა მოუწოდა გამოძიების მწარმოებელ ორგანოს, ჩაეტარებინა ყოველმხრივი და ობიექტური გამოძიება, რათა დაედგინა 2012 წლის 27 თებერვალს ხაშურის პოლიციის რაიონული სამმართველოს შენობაში ბრალდებულ სოლომონ ქიმერიძის, როგორც გარდაცვალების მიზეზი, ასევე, გარდაცვალებამდე ხომ არ დაექვემდებარა იგი არაადამიანურ ან სასტიკ მოპყრობას. სოლომონ ქიმერიძის მიმართ პოლიციელების მხრიდან სამსახურებრივი უფლებამოსილების შესაძლო გადამეტების ფაქტზე ჩატარდა საგამოძიებო მოქმედებები, თუმცა, კონკრეტული პირი ბრალდებულად ცნობილი არ არის.

### 3. 2011 წლის 26 მაისის აქციის დაშლის საქმე

საქართველოს სახალხო დამცველმა გამოძიებას მოუწოდა 2011 წლის 26 მაისს რუსთაველის გამზირზე საპროტესტო აქციის დაშლისას ადამიანის უფლებათა მასობრივი დარღვევის ფაქტების დროული გამოძიება. მოცემულ საქმეზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 6 მაღალჩინოსნის მიმართ. შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის მიმართ გამოტანილია გამამტყუნებელი განაჩენი, დანარჩენი 5 პირის მიმართ სისხლის სამართლის საქმეს ჯერ კიდევ იხილავს სასამართლო. საქმეზე 250-მდე პირი ცნობილია დაზარალებულად, გამოძიება გრძელდება.

### 4. ფარული ჩანაწერების 26 ათასი ფაილის საქმე

2013 წელს ცნობილი გახდა ათასობით უკანონოდ მოპოვებული, ფარული ჩანაწერის არსებობის შესახებ, რომელიც ინახებოდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში ან/და სამართალდამცავი ორგანოების განცხადებით, ცალკეულ შემთხვევებში, აღმოჩენილი იქნა სხვადასხვა სამალავებში.

მთავრობის 2013 წლის 15 აგვისტოს №206 დადგენილებით შეიქმნა უკანონო მიყურადებისა და ფარული ჩანაწერების საკითხებზე მომუშავე დროებითი კომისია, რომელშიც საქართველოს სახალხო დამცველი წევრის სტატუსით იყო მიწვეული.

დროებითი კომისიის 2014 წლის 31 იანვრის ანგარიშის მიხედვით, ფარული ჩანაწერების (ფაილების) სრულმა რაოდენობამ 28.687 ათასი ფაილი შეადგინა. კომისიის გადაწყვეტილებით 2013 წლის 5 სექტემბერს განადგურდა პირადი, მათ შორის, ინტიმური ცხოვრების ამსახველი ვიდეო მასალა, ხოლო 2014 წლის 29 იანვარს დროებითმა კომისიამ დაასრულა მუშაობა და უკანონო ჩანაწერების ნაწილი გამოძიებისათვის საქართველოს მთავარ პროკურატურას გადაეცა.

საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციას ფარული მიყურადებისა და თვალთვალის შედეგად მასალების მოპოვების ფაქტების ეფექტიანი გამოძიება და დამნაშავე პირების პასუხისგებაში მიცემა წარმოადგენდა. მოცემულ ფაქტზე გამოძიება დღემდე მიმდინარეობს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცალკეული თანამშრომელთა მხრიდან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე, ჩატარებული მრავალი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედების მიუხედავად სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებული არ არის.

### 5. 2008 წლის აგვისტოში რუსეთ-საქართველოს ომის დროს ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებები

დანაშაულთა გამოძიება საქართველოს სახალხო დამცველის ერთ-ერთ რეკომენდაციას წარმოადგენდა 2008 წლის აგვისტოს საომარი მოქმედებების დროს და მის შემდგომ პერიოდში სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებების, მათ შორის, უგზოუკვლოდ დაკარგულ პირთა საქმეების გამოძიების ეფექტურად, შემჭიდროვებულ ვადებში წარმართვა.

საქართველოს პროკურატურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, მოცემულ საქმეზე, რომელიც მოცულობითი და მრავალეპიზოდიანია, გამოძიება მიმდინარეობს მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 407-ე და 411-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 413-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. დაზარალებულად ცნობილი და დაკითხულია 4 000-ზე მეტი პირი.

მოწმის სახით დაკითხულია/გამოკითხულია 500-ზე მეტი პირი და ჩატარებულია რამდენიმე ათასი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება. რაც შეეხება ომის დროს გაუჩინარებულ პირთა საქმეების გამოძიებას, დ.ც.-ს და პ.ქ.-ს თავისუფლების უკანონო აღკვეთის ფაქტებზე კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ყოფილი უფროსის მიმართ გამოტანილ იქნა გამამტყუნებელი განაჩენი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და 19, 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით.

დ.ს.-ს თავისუფლების უკანონო აღკვეთის ფაქტზე ჩატარებულია ყველა საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება, თუმცა ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე საგამოძიებო მოქმედებების განხორციელება ვერ ხერხდება. ა.ხ.-ს, ა.ხ.-ს, ს.პ.-ს, თ.კ.-ს თავისუფლების უკანონო აღკვეთის ფაქტზე ჩატარდა მრავალრიცხოვანი საგამოძიებო მოქმედებები, თუმცა, მათი ადგილსამყოფელის დადგენა ვერ ხერხდება. ა.ხ.-ს, ა.ხ.-ს, ს.პ.-ს, დ.ს.-ს ოჯახის წევრები ცნობილი იქნენ დაზარალებულის უფლებამონაცვლეებად, გამოძიება გრძელდება. საქართველოს სიტუაციაზე სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიერ გამოძიების დაწყების მიუხედავად, საქართველოს საგამოძიებო ორგანოებს რჩება ვალდებულება 2008 წლის ომის დროს ჩადენილი დანაშაულები გამოიძიონ და დასაჯონ დამნაშავე პირები.

### 6. ლაფანყურის სპეცოპერაციის საქმე

საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშებში გაცემული იქნა რეკომენდაციები 2012 წლის აგვისტოს ბოლოს ჩატარებული ლაფანყურის სპეცოპერაციის საქმეზე ეფექტური, ობიექტური და დამოუკიდებელი გამოძიების ჩატარების მიზნით:

სამართალდამცავთა მიერ ლეტალური ძალის გამოყენების მართლზომიერებისა და პროპორციულობის შესასწავლად გამოძიების დაწყება, სპეცოპერაციის დაგეგმვისა და განხორციელების გარემოებების გამოძიება, გამოძიების საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ ჩატარება, გარდაცვლილთა ოჯახის წევრებისთვის დაზარალებულის უფლებამონაცვლის სტატუსის მინიჭება და გამოძიების პროცესში მათი ეფექტიანი მონაწილეობის უზრუნველყოფა.

როგორც ომბუდსმენი აცხადებს, აპარატისთვის წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, მოცემულ საქმეზე გამოძიებას საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტი აწარმოებს საქართველოს მთავარი პროკურატურის ზედამხედველობით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. ჩატარდა ყველა საჭირო საგამოძიებო მოქმედება, მათ შორის, მოწმის სახით დაიკითხა 300-მდე პირი, ჩაინიშნა არაერთი სახის ექსპერტიზა, ჩატარდა გარდაცვლილ პირთა ექსჰუმაცია და ჩატარდა გვამების სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა, საერთაშორისო დახმარების ფარგლებში გამოთხოვილი და მიღებული იქნა მნიშვნელოვანი ინფორმაცია. სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებული არ არის. ამასთან, მოცემული საქმიდან სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა მხრიდან სავარაუდო დანაშაულის ფაქტზე ცალკე წარმოებად საქმე გამოყოფილი არ არის. დაზარალებულის უფლებამონაცვლის სტატუსი მინიჭებული არავის აქვს.

**ნეტგაზეთი**

# TDI ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგეობის წინააღმდეგ

ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტმა (TDI) ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგეობის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი შეიტანა. გამგეობამ TDI-ს უარი უთხრა სოფელ მოხეში ახალი მეჩეთის მშენებლობის შესახებ საჯარო ინფორმაციის მიწოდებაზე.

TDI სარჩელით ითხოვს, გამგეობას საჯარო ინფორმაციის გაცემა დაევალოს. ახალციხის რაიონულმა სასამართლომ სარჩელი წარმოებაში მიიღო.

TDI-მ ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგეობისგან სოფელ მოხეში მშენებარე ახალი მეჩეთის თაობაზე საჯარო ინფორმაცია 19 ოქტომბერს გამოითხოვა, მათ შორის, მეჩეთის მშენებლობის ნებართვასთან დაკავშირებული სამართალწარმოების მასალები.

ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ზაქარია ენდელაძემ 25 ოქტომბრის წერილში დაადასტურა, რომ სოფელ მოხეში მეჩეთი შენდება და დასრულებულია ნაგებობის პირველი სართული. წერილში არ არის პასუხი გაცემული მეჩეთის მშენებლობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებულ საკითხზე და არც საქმის წარმოების შესაბამისი დოკუმენტაციაა დართული, რაც ახალი მეჩეთის მშენებლობის კანონიერებას დაადასტურებდა.

2017 წლის 2 ნოემბერს TDI-მ ხელმეორედ მიმართა ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგეობას მეჩეთის მშენებლობის ნებართვის შესახებ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით, თუმცა გამგებელმა ნებართვის შესახებ განმცხადებელს დოკუმენტი არც ამჯერად მიაწოდა.

მოხეში მცხოვრები მუსლიმი თემი წლების განმავლობაში ითხოვდა ამავე სოფელში მდებარე „სადავო ნაგებობის“ მათთვის გადაცემას. აღნიშნული შენობა 2007 წლიდან ადიგენის მუნიციპალიტეტის საკუთრება იყო. 2014 წლის ოქტომბერში მომხდარი დაპირისპირების შემდეგ შეიქმნა „მოხეს კომისია“, რომელსაც ნაგებობის ისტორიულ-კონფესიური წარმომავლობა უნდა შეესწავლა. სახალხო დამცველი და რელიგიის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციები კომისიას აკრიტიკებდნენ იმის გამო, რომ ორი წლის განმავლობაში კონკრეტული ნაბიჯები არ გადაუდგამს. 2016 წლის ოქტომბერში მოხეში მუსლიმებმა ლოცვა სადავო შენობაში დაიწყეს. მალევე პოლიციამ შენობაში შესასვლელი გადაკეტა, რის შემდეგაც მუსლიმები პროტესტის ნიშნად ყოველ პარასკევს „სადავო შენობის“ წინ ლოცულობდნენ. 2017 წლის 11 მაისს კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს ადიგენის რაიონის სოფელ მოხეში მეჩეთის მშენებლობის მიზნით საკუთრებაში გადაეცა მიწის ნაკვეთი; „მოხეს შენობა“ შევიდა კულტურული მემკვიდრეობის ობიექტთა ნუსხაში, როგორც „სადავო ნაგებობა“ და ის ადიგენის მუნიციპალიტეტიდან სახელმწიფო საკუთრებაში გადავიდა.

**მთისამბები.გე**

# ვანო მთვრალაშვილი: „საქართველოში საწვავის მოხმარება არ შემცირებულა“

2017 წლის იანვარ-ნოემბერში ბენზინისა და დიზელის საწვავის იმპორტი გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 7.4%-ით შემცირდა. ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის ხელმძღვანელ ვანო მთვრალაშვილის განცხადებით, იმპორტის შემცირება სეზონურ ფაქტორსა და ნავთობპროდუქტებზე აქციზის გადასახადის ზრდას უკავშირდება.

– როგორც ცნობილია მიმდინარე წელს შევიდა ცვლილება საგადასახადო კოდექსში, კერძოდ გაიზარდა აქციზის გადასახადი ნავთობპროდუქტებზე. გასული წლის დეკემბერში შემოვიდა საკმაოდ დიდი მოცულობის ნავთობპროდუქტები, რომელიც უკვე მოხმარებაში იყო შემდგომ თვეებში, ანუ შემოვიდა იმაზე გაცილებით მეტი, რაც საშუალოდ მოხმარება იყო გასულ წლებში. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო თვეებში ნავთობპროდუქტებზე მაღალი ფასებია, მოხმარება მაინც მაღალ ნიშნულზეა, საქართველოში საწვავის მოხმარება არ შემცირებულა, – განაცხადა რადიო „კომერსანტის“ გადაცემაში „კომერსანტის თემა სალომე სოსელიასთან ერთად“ ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის ხელმძღვანელმა ვანო მთვრალაშვილმა.



ვანო მთვრალაშვილის თქმით, მიმდინარე წელს რამდენიმე გამოწვევა იყო, მათ შორის, ნავთობის ფასები, ლარის კურსის მერყეობა, აქციზის გაზრდა, თუმცა 2017 წელი მაინც დამაკმაყოფილებელი იყო კომპანიებისთვის.

– 1-ლი იანვრიდან შევიდა საგადასახადო კოდექსში ცვლილება ანუ აქციზური გადასახადი გაიზარდა და ამან საშუალოდ 25 თეთრით ფასის მატება გამოიწვია. თუმცა წელი დაწყებული აპრილის თვიდან აგვისტომდე ხასიათდებოდა იმით, რომ საერთაშორისო ფასები ნავთობზე მცირდებოდა და ჩვენთანაც საცალო ქსელში ფასები მოდიოდა დაბლა. მიუხედავად იმისა, რომ აქციზური გადასახადის გამო ფასმა მოიმატა, საცალო ქსელში ფასი მაინც ოპტიმალური იყო. აგვისტოს თვიდან საერთაშორისო ფასებმა დაიწყო მატება, ლარი გაუფასურდა, ამან, რა თქმა უნდა, გამოიწვია ფასების გაზრდა და დღეს გვაქვს საკმაოდ მაღალი ფასები. თუმცა 11 თვის მონაცემებით, იმპორტი და მოხმარება იყო საკმაოდ მაღალ ნიშნულზე. როცა მოხმარება მაღალია ეს კომპანიებისთვის მნიშვნელოვანია, რადგან მათ შორის არის საკმაოდ დიდი კონკურენცია, – აღნიშნა ვანო მთვრალაშვილმა.

ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირი, 2017 წელს საავიაციო ნავთისა და ბიტუმის იმპორტის ზრდაზე საუბრობს.

– მიმდინარე წელს საავიაციო ნავთის იმპორტი არის მნიშვნელოვნად გაზრდილი. საქართველოში მიმდინარე წელი იყო საკმაოდ აქტიური ტურიზმის თვალსაზრისით. ნავთი გამოიყენება საერთაშორისო რეისების დროს, რაც იმაზე მიუთითებს რომ ამ მხრივ საქართველოში მზარდი ტენდენცია გვაქვს. აქ არის ძალიან დიდი მატება გასულ წელთან შედარებით 25%-ით მეტი საავიაციო ნავთობი არის შემოსული, რაც მიანიშნებს, რომ გაცილებით მეტი რეისი შეასრულეს ავიაკომპანიებმა. ასევე სანავთობო ბითუმი, რომელიც ინფრასტრუქტურის მშენებლობაში გამოიყენება, იმპორტი არის გაზრდილი. ეს ნიშნავს, რომ გაცილებით მეტი ინფრასტრუქტურული სამუშაოები შესრულდა მიმდინარე წელს, – განაცხადა ვანო მთვრალაშვილმა.

# ირაკლი როსტომაშვილი მერიას სამშენებლო გაიდლაინების შემუშავებას ურჩევს

თბილისის მერის ბრძანებას მშენებლობებზე კონტროლის გამკაცრებასთან დაკავშირებით მენაშენეთა ასოციაციაში სწორ გადაწყვეტილებას უწოდებენ, თუმცა, როგორც ასოციაციის ხელმძღვანელი ირაკლი როსტომაშვილი აცხადებს, აუცილებელია, თავად დასაქმებულიც საკითხს სერიოზულად მოეკიდოს.

– რა თქმა უნდა, კონტროლი გასამკაცრებელია, რასაც მივესალმები, მაგრამ ამას ერთი მხარე არ აქვს. ჩემს პრაქტიკაში ბევრჯერ შევსწრებივარ ისეთ ფაქტს, როდესაც თვითონ დასაქმებული ეკიდება ამ საკითხს ზერელედ. სამუშაოთა მწარმოებელი ვალდებულია დილით მუშას მისცეს დამცავი ჩაფხუტი, ღვედი, დამცავი ფეხსაცმელი და ა.შ. ხშირად მუშას ეს ჩაფხუტი მოხდილი აქვს და გვერდზე უგდია, როცა ვინმეს დაინახავს, მაშინ დაიფარებს. შეუძლებელია სულ გვერდზე ედგეს მაკონტროლებელი. ანუ ხშირად თავად მუშა არ ზრუნავს თავის უსაფრთხოებაზე. თუმცა მხოლოდ ეს არ არის პრობლემა, სამშენებლო სექტორში უკონტროლო სიტუაციაც არის და ხშირად დაუდევრობასაც აქვს ადგილი. ერთი რეცეპტი რომ იყოს, აქამდეც მოგვარდებოდა ეს პრობლემა. ახლა კონტროლი რომ გამკაცრდება, უფრო მკაცრად მოსთხოვენ სამუშაოთა მწარმოებლები თანამშრომლებს წესების დაცვას, რაც ნიშნავს, რომ თუ გაფრთხილებას ერთხელ-ორჯერ არ შეასრულებენ, გაუშვებენ სამსახურიდან. ასეთი შემთხვევებიც ყოფილა, – აცხადებს ირაკლი როსტომაშვილი.



რაც შეეხება კალაძის მორიგ განცხადებას, რომლის მიხედვითაც არცერთ პროექტზე სამშენებლო ნებართვა არ გაიცემა, თუ მასში გარე ფასადი მოპირკეთებული არ იქნება, როსტომაშვილი არასწორს უწოდებს და აცხადებს, რომ ასეთი გადაწყვეტილების მიღებამდე მთავრობამ ჯერ სამშენებლო სტანდარტები უნდა დანერგოს.

– ვეთანხმები, რომ ერთიანი სტანდარტი უნდა იყოს, მაგრამ სად არის გაიდლაინი, რომლის მიხედვითაც ააშენებს მშენებელი შენობას, მოაპირკეთებს და გადახურავს? გაიდლაინები უნდა განისაზღვროს ან პროექტის შეთანხმების პერიოდში შეთანხმდნენ, როგორ უნდა მოპირკეთდეს. ან არ დაამტკიცონ პროექტი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს იმ სტანდარტს, რომელიც არის მოთხოვნილი კანონით და არა კერძო პირის მიერ. ერთი ადამიანის გემოვნებით არ უნდა აშენდეს, ეს უნდა იყოს შემუშავებული სტანდარტები და შემდეგ ადვილად მოითხოვ მათ დაკმაყოფილებას. ახლა რომ გავაჩეროთ მშენებლობა და ვუთხრათ, რომ არ მოგვწონს, ვერ გავაკეთებთ ამას და მშენებელს გაუძვირო ფასადის მოპირკეთება, ეს ხომ ბიზნესზე ნეგატიურად აისახება. წარმოიდგინეთ ადამიანს გაყიდული აქვს ბინები, აშენებს და უცებ ეუბნები – მოაპირკეთე გრანიტით, ეს ხომ ზარალია კომპანიისთვის? მერიის პრეროგატივაა შეითანხმოს ისეთი პროექტი, რომელიც შეესაბამება გაიდლაინის მოთხოვნებს, გაიდლაინი კი არ გვაქვს. ამ ყველაფერს უნდა პოლიტიკური ნება და კახა კალაძეს, მგონი, ამის ამბიცია ნამდვილად აქვს, – განაცხადა ირაკლი როსტომაშვილმა.

# „ბანკებს ლარის იაფი რესურსი არ გააჩნიათ“




ლარში გაცემულ კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთები გაიზარდა. ეროვნული ბანკის 2017 წლის ოქტომბრის მონაცემებით, სესხებზე წლიური საბაზრო საპროცენტო განაკვეთი 16,6%-ს შეადგენს (2016 წელს - 13,8%).

ამავე მონაცემებით, ეროვნულ ვალუტაში გაცემული სესხების საშუალო საბაზრო საპროცენტო განაკვეთი 2016 წლის ოქტომბრიდან 2017 წლის ოქტომბერთან შედარებით 17,5%-დან 21,4%-მდე გაიზარდა. შედარებით მაღალია ფიზიკურ პირებზე გაცემულ სესხებზე დაწესებული საპროცენტო განაკვეთი. კერძოდ, ეროვნული ბანკის სტატისტიკური მონაცემებით 2017 წლის ოქტომბერში ფიზიკურ პირებზე გაცემულ სესხებზე წლიური საბაზრო საპროცენტო განაკვეთი 26,2%-ს შეადგენდა, 2016 წლის ანალოგიურ პერიოდში ეს მაჩვენებელი 24,1%-ს შეადგენდა.

რაც შეეხება უცხოურ ვალუტაში გაცემულ სესხებს, აქ საპროცენტო განაკვეთი შემცირებულია. ეროვნული ბანკის სტატისტიკით, 2017 წლის ოქტომბრის მონაცემებით, უცხოურ ვალუტაში გაცემული კრედიტების წლიური საბაზრო საპროცენტო განაკვეთი 8,2% იყო (2016 წელს – 9,2%).

ლარში გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთების ზრდას ფინანსისტი ირაკლი ბერძენაძე რამდენიმე ფაქტორს უკავშირებს, მათ შორის, არასტაბილურ გარემოს, ლარის ძვირ რესურსსა და ლარიზაციის პროგრამას.

– ლარიზაციის მიზანი იყო, რომ ლარი უფრო მეტად კონკურენტუნარიანი ყოფილიყო დოლართან შედარებით და ერთის მხრივ მომხდარიყო ვალუტის გამყარება. თუმცა როგორც ჩანს, დღეს ეს მიზანი ვერ სრულდება. თუ ლარიზაცია სურდა ეროვნულ ბანკს, მაშინ 100.000 ლარამდე არა მხოლოდ სესხების გაცემა უნდა აეკრძალა უცხოურ ვალუტაში, არამედ 100.000 ლარამდე დეპოზიტები და სხვა ფასიან ქაღალდში ნებისმიერი სახის ინვესტიცია უნდა ყოფილიყო ეროვნულ ვალუტაში. ამით ბანკებს გაუჩნდებოდათ ლარის რესურსი.

დღეს ბანკები ეროვნული ბანკისგან რეფინანსირების სესხებს ძვირად იღებენ. ამიტომაც გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთიც მაღალია. საბოლოოდ გამოდის, რომ ბანკებს იაფი რესურსი ლარში არ გააჩნიათ, შესაბამისად, ისინი იძულებულები არიან, რომ ძვირი რესურსი უფრო გააძვირონ. ბანკმა, თუ მას რესურსი მოძიებული აქვს 9-10%-ად, საშუალოდ 16%-ად მაინც უნდა გაასესხოს ის თანხა, – განუცხადა „კომერსანტს“ ირაკლი ბერძენაძემ.

მისივე თქმით, იმ ქვეყნებში, სადაც რეფინანსირების განაკვეთი არის დაბალი, ეროვნულ ვალუტაში გაცემული სესხებზე საპროცენტო განაკვეთიც დაბალია.

– ჩილეში რეფინანსირების სესხები გაიცემა 2.5 %-ად, დიდ ბრიტანეთში – 0.5 %-ად, უნგრეთში – 0.9 %-ად, სამხრეთ კორეაში – 1.5 %-ად, ავსტრალიაში – 2%-ად, პოლონეთში 2.5 %-ად და ა.შ. შესაბამისად, ამ ქვეყნებშიც სესხები დაბალპროცენტიანია. საქართველოში კი კომერციული ბანკები ლარში რესურსს ძვირად იზიდავენ და, შესაბამისად, სესხებსაც ძვირად გასცემენ, – დასძინა ბერძენაძემ.

**„კომერსანტი“**

# უალკოჰოლო სასმელების მარკირების საფასურს 2018 წელსაც სახელმწიფო გადაიხდის



„უალკოჰოლო სასმელების მარკირების საფასურს ისევ სახელმწიფო გადაიხდის“ – აცხადებს „კომერსანტთან“ საუბრისას კომპანია „ნატახტარის“ კორპორატიულ საქმეთა დირექტორი ნიკოლოზ ხუნძაკიშვილი. მისი ინფორმაციით, საკითხი ოფიციალურად ცნობილი ჯერ არ არის, თუმცა პოლიტიკური გადაწყვეტილება მიღებულია, რაც გულისხმობს იმას, რომ გაგრძელდება 2017 წლის პრაქტიკა, შედეგად, მარკირების საფასურს, 2017 წლის მსგავსად, სახელმწიფო გადაიხდის.

– ეს არის ის განცხადება, რაც ახალმა მინისტრმა ჩვენთან გააკეთა. ეს სიტყვიერი შეთანხმებაა და დოკუმენტურად გაფორმებული არ არის. იმედი გვაქვს, რომ თვის ბოლომდე ეს დოკუმენტურად გაფორმდება და ბრძანებაში აისახება, – აცხადებს ხუნძაკიშვილი.

კითხვაზე, უალკოჰოლო სასმელების მარკირების საფასურის სახელმწიფოს მხრიდან გადახდით, რა ოდენობის თანხა დაზოგა სექტორმა, ხუნძაკიშვილი აღნიშნავს, რომ საუბარია წელიწადში 5-6 მილიონი ლარის ეკონომიაზე.

რაც შეეხება ფინანსთა სამინისტროს, უწყებაში „კომერსანტს“ განუცხადეს, რომ 2018 წელს უალკოჰოლო სასმელების მარკირების საფასურს, 2017 წლის მსგავსად, ისევ სახელმწიფო გადაიხდის.

შეგახსენებთ, უალკოჰოლო სასმელების ელექტრონული მარკირება ძალაში 2015 წლის 1-ლი ნოემბრიდან შევიდა. საქართველოს ფინანსთა მინისტრის №996 ბრძანებით, მარკირებას დაექვემდებარა არაალკოჰოლური სასმელები, მათ შორის მინერალური და მტკნარი წყლები. მარკირების პროცესის უზრუნველსაყოფად კონტრაქტორის შერჩევა შემოსავლების სამსახურს, მომსახურების საფასურის ანაზღაურება კი პროდუქციის მწარმოებელს დაევალა.

კონტრაქტორად შ.პ.ს SICPA Security Solutions Georgia შეირჩა, რომელიც შვეიცარიული კომპანია SICPA HOLDI#G-ის შვილობილ ორგანიზაციას წარმოადგენს. 2016 წლის 9 დეკემბერს ფინანსთა მინისტრის №311 ბრძანებით ცვლილება შევიდა 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში, რომლის მიხედვითაც არაალკოჰოლური სასმელების მარკირების საფასურის ანაზღაურებას 2018 წლის 1 იანვრამდე შემოსავლების სამსახური განახორციელებს.

# რა ელირება ავტომობილის ტექდათვალიერება



მსუბუქი ავტომობილების ტექნიკური ინსპექტირება – 60 ლარი, ხოლო სატვირთო და სამგზავრო ავტომობილების – 100 ლარი ელირება.

ყველა ავტომფლობელს, რომლის სატრანსპორტო საშუალებასაც აღმოაჩნდება ისეთი ხარვეზი, რაც ეწინააღმდეგება დადგენილ მოთხოვნებს, მიეცემა გონივრული ვადა (ერთთვიანი) პრობლემის მოსაგვარებლად.

ამასთან, გამკაცრდება ინსპექტირების მოწმობის არქონის შემთხვევაში არსებული საჯარიმო სანქციები. უფრო კონკრეტულად კი, ფიზიკური პირისთვის ჯარიმა იქნება 50 ლარი, ხოლო იურიდიული პირებისთვის – 200 ლარი.

# ირმა ჭკადუა ზაზა ხატიაშვილის წინააღმდეგ

ნონა ცაბაძე

რა ხდება ადვოკატთა ასოციაციაში, ვინ არის გადმოპორტირებული და რა პრობლემები ჰქონდათ ადვოკატებს? „ახალ თაობას“ ადვოკატი ირმა ჭკადუა და ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილი ესაუბრებიან.

***– ქალბატონო ირმა, თქვენ გააკეთეთ ოფიციალური განაცხადი, რომ კენჭს იყრით ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის თანამდებობაზე. კაცების მმართველობა უნდა დასრულდეს ადვოკატთა ასოციაციაშიო, ესეც თქვით. რა შანსები გაქვთ?***

– ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ქალი ვარ და ხომ უნდა მომცენ ხმა? ეს ხუმრობით. ადვოკატთა ასოციაციას ჰქონდა ძალიან რთული პერიოდი. რთული გამოწვევების წინაშე იდგა წლების განმავლობაში და საკმაოდ კარგად ართმევდა თავმჯდომარეობის ფუნქციას ბატონი ზაზა ხატიაშვილი, იყო ადვოკატების სადარაჯოზე და ამ მიმართულებით ის იყო ნამდვილად კარგი თავმჯდომარე.

***– მის მიმართ გაქვთ პრეტენზიები?***

– ადვოკატთა ასოციაციის ყველა წევრი პრაქტიკულად გაერთიანებული ვიყავით ზაზა ხატიაშვილის ირგვლივ იმ მიზნით, რომ სისტემა ებრძოდა ადვოკატთა ასოციაციას და იყვნენ ადამიანები, რომლებიც, ხშირ შემთხვევაში, იყვნენ მართულები ან სასურველი, რაც ხელისუფლების მხრიდან მიზნად ისახავდა ადვოკატთა ასოციაციის დასუსტებას, დაქსაქსვას და ასე შემდგომ. ასოციაციის წევრები ყოველთვის ერთიანი ვიყავით და ორჯერ იქნა ზაზა ხატიაშვილი თავმჯდომარედ არჩეული.

***– რა სიტუაციაა დღეს ასოციაციაში?***

– ის ადამიანები, რომლებიც იდგნენ მეორე მხარეს, ანუ ებრძოდნენ ზაზას, თავიანთი გუნდებით ფიქრობენ, რომ მოვიდნენ მმართველობაში. ჩვენ, ძალიან ბევრ ადვოკატს, მიგვაჩნია, რომ ეს არ არის სწორი მიდგომა.

***– რა არ არის სწორი, საკუთარი გუნდით მოსვლას რომ გეგმავენ?***

– დიახ და საერთოდ მიგვაჩნია, რომ არცერთი გუნდით არცერთი თავმჯდომარე არ უნდა მოვიდეს. უნდა იყვნენ სხვადასხვა საადვოკატო ბიუროდან, სხვადასხვა ქალაქიდან წარმოდგენილი ადამიანები, რომლებიც ზოგადად ფართო კონსენსუსის შედეგად უნდა იყვნენ შერჩეული.

***– თქვენ არ გყავთ თქვენი გუნდის წევრები?***

– მე ასეთი გუნდის წევრები არ წარმიდგენია. არ მყავს აღმასრულებელ საბჭოში ჩემი „გუნდის წევრები“ და არც ეთიკის კომისიაში. დღეს ჩვენ ვხედავთ იმ სახეებს, რომლებიც წლების განმავლობაში, განსაკუთრებით ბოლო სამი არჩევნების განმავლობაში, ტრიალებენ, გადაჯგუფდებიან აღმასრულებლიდან ეთიკაში, ეთიკიდან – აღმასრულებელში და ასე შემდეგ. ასე არ შეიძლება.

***– ფიქრობთ, რომ დავით ასათიანი ზაზა ხატიაშვილის ფავორიტია?***

– ყველა ადამიანს და მოქმედ თავმჯდომარესაც აქვს უფლება, თავისი ერთი, მოკრძალებული ხმა მისცეს მის რჩეულს. ბატონ ზაზას ამის უფლება აქვს, მაგრამ ასე აშკარა მხარდაჭერის გამოხატვით კონკრეტული კანდიდატის მიმართ, რასაც იგი ბოლო წლების განმავლობაში აკეთებს, როგორც მინიმუმ, არათანაბარ პირობებში აყენებს სხვა კანდიდატებს და, როგორც მინიმუმ, არ არის ლამაზი.



## ზაზა ხატიაშვილი: „ირმა ინადგურებს რეპუტაციას!“

ყველა კანდიდატი, მათ შორის ბატონი დავით ასათიანიც, არის ღირსეული ადამიანი. მე მას პიროვნულად არაფერს ვერჩი. ამ მიმართულებით მასთან პრეტენზიები არ მაქვს.

***– აბა რასთან დაკავშირებით უყენებთ პრეტენზიებს?***

– მე პრეტენზიები მაქვს თითოეულ კანდიდატთან – სად იყვნენ ისინი 2012 წლამდე?! სად იყვნენ მაშინ, როდესაც ადვოკატთა უმრავლესობა იბრძოდა, აპროტესტებდა, იყო მსხვერპლი და რატომ არ იყვნენ მაშინ ზაზას გვერდით?! ამ პერიოდში ჩვენ ამ ადამიანებს ვერსად დავინახავთ. იქნებ ვინმემ მაჩვენოს ერთი პროტესტი, ერთი განცხადება, მათი გაკეთებული.

***– და მაინც სად მოღვაწეობდნენ იმ წლებში ეს ადამიანები?***

– ისინი კომფორტის ზონაში ცხოვრობდნენ და კომფორტის ზონიდან ახლა უნდათ გადმოპორტირდნენ და იცხოვრონ ახალ კომფორტის ზონაში. მე, პირადად, გადმოპორტირებულ ნაცებს ვერ ვიტან ხელისუფლებაში და ამ ხელისუფლების ყველაზე დიდ ნაკლად მიმაჩნია ეს! ჩვენ შევეცდებით, არ დავუშვათ რომელიმე ვიწრო ჯგუფის ინტერესების გატარება ადვოკატთა ასოციაციაში. ამას აუცილებლად შევეწინააღმდეგებით.

***– ანუ არიან კანდიდატები, რომლებიც გადმოპორტირდნენ და ისინი არ უნდა აირჩიონ?***

– არჩევანი უნდა გააკეთონ ასოციაციის წევრებმა. მე არცერთ მათგანზე არც უკეთესი ვარ და არც უარესი. ჩვეულებრივი, რიგითი ადვოკატი ვარ, ერთადერთი ვიცი, რომ არასოდეს ვუღალატებ ადვოკატებს, ვიქნები ადვოკატების ყველა პრობლემის თანაზიარი და იმედს ვიტოვებ, რომ ადვოკატებს არ ექნებათ ის პრობლემები, რომლებიც ბოლო წლების განმავლობაში ჰქონდათ.

ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ ადვოკატთა ასოციაცია იყოს ყველაზე ძლიერი ასოციაცია, გაძლიერდეს ადვოკატის როლი მართლმსაჯულებაში, მათი გადამზადება ხდებოდეს და თუნდაც ფინანსები როდესაც მოდის, დიდი გრანტები იხარჯებოდეს ადვოკატებთან შეთანხმებით.

***– გადმოპორტირებულებში დავით ასათიანს გულისხმობთ?***

– დღეს კონკრეტიზაციისგან თავს შევიკავებ. ადვოკატები ერთმანეთს ზურგის ტვინით ვგრძნობთ. ყველამ ძალიან კარგად ვიცით, ვინ სად ვიყავით, ვინ რას ვაკეთებდით. როცა ადამიანს ნიღაბი აქვს მორგებული, ეს ძალიან კარგად იკითხება.

არჩევნების წინ ასოციაციის ვერცერთ წევრს ვერ დავპატიჟებ რესტორანში, ვერ გავუგზავნი ვერც ავტობუსს, ვერც მიკროავტობუსს რეგიონებში. სამწუხარო რეალობაა ეს, რომ ჩვენ დავინახავთ ავტობუსებით ჩამოყვანილ ადამიანებს, მაგრამ არც ასე ჩამოყვანილი ადამიანებით და არც რესტორნებში ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის ბედი არ უნდა წყდებოდეს.

ისინი არიან თავისუფალი არჩევანში. როდესაც შევლენ საარჩევნო გარემოს სივრცეში, სწორედ იქ უნდა მიიღონ ის გადაწყვეტილება და აირჩიონ თავმჯდომარეობის ის კანდიდატი, რომელიც მათთან უფრო ახლოს არის.

***– ფიქრობთ, რომ ექნება მსგავს ფაქტებს ადგილი? ჩამოიყვანენ ავტობუსებით ადვოკატებს და შემდეგ რესტორანშიც გაუმასპინძლდებიან?***

– მედიას დიდი რესურსი გააჩნია იმისთვის, რომ ეს ნახოთ, გაარკვიოთ, რა ხდება ბათუმში, რა ხდება ზუგდიდში და ასე შემდეგ. ვნახავთ, რა და როგორ იქნება.

❖ ❖ ❖

ზაზა ხატიაშვილი ირმა ჭკადუას ბრალდებებს პასუხობს.

***– ბატონო ზაზა, რატომ დაგიპირისპირდნენ თავმჯდომარეობის კანდიდატები? კეთდება შეფასებები, რომ თქვენი ფავორიტი დავით ასათიანია და ცდილობთ, ის გახდეს თავმჯდომარე. ირმა ჭკადუას თქმით, მობილიზება კეთდება, რომ ავტობუსებით ჩამოიყვანონ ადვოკატები რეგიონებიდან. ასეა?***

– ადვოკატები ან ავტობუსებით ჩამოვლენ, ან მატარებლით, აბა ფეხით ხომ არ წამოვლენ რეგიონებიდან?! ასოციაციას არანაირი უფლება არ აქვს, ადმინისტრაციული რესურსით თვითონ უზრუნველყოს ეს პროცესი. ეს კანონით ისჯება, დაუშვებელია. ეს სისხლის სამართლის დანაშაულია. მე რომ კენჭს ვიყრიდი ამ თანამდებობაზე, წინასაარჩევნო კამპანიაც კი არ ჩამიტარებია, იმიტომ რომ არ მჭირდებოდა და 81%-მა მომცა ხმა. გამორიცხულია, ამას არავინ გააკეთებს.

***– ჭკადუამ ჩვენთან საუბარში განაცხადა, რომ ხდება ადვოკატების მობილიზება.***

– სიცრუეა. ირმა ჭკადუამ საარჩევნო კამპანია არ ჩაატარა. 5 დღის წინ გადაწყვიტა კენჭისყრა. ვინც საარჩევნო კამპანიას ატარებდა, მოვიდნენ ადვოკატთა ასოციაციაში და მოითხოვეს, რომ ადვოკატთა ასოციაციას რეგლამენტი შეეცვალა და ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარეობის კანდიდატების ბეჭდით დამოწმებულიყო ბიულეტენები. ეს რა ნიშნავს, თუ იცით?!

***– რას?***

– შალვა ნათელაშვილმა ცესკოს რომ მოსთხოვოს, ლეიბორისტული პარტიის ბეჭედი დაარტყით თითოეულ ბიულეტენსო. ეს მსოფლიოში არ მომხდარა არსად. მე რა გავაკეთე, იცით? მოვითხოვე საბჭოს სხდომაზე რეგლამენტის შეცვლა, კანდიდატებს მივეცი უფლება, მოვიდნენ ადვოკატთა ასოციაციაში ერთი დღით ადრე და ყველა ბიულეტენს დაარტყან თავიანთი ბეჭედი. დღეს უნდა მოვიდეს ხუთივე კანდიდატი და ბიულეტენებზე ბეჭედი უნდა დაარტყან. დამისახელეთ ადამიანი, რომელიც ამაზე წავიდოდა, ზაზა ხატიაშვილის გარდა! ყველა მათი პრეტენზია გავითვალისწინე და შევიტანე რეგლამენტში.

***– ანუ ყველანაირ დათმობაზე წახვედით?***

– რატომ წავედი, იცით? აი, ასეთი ბრალდებები რომ არ ყოფილიყო. ძალიან მიკვირს ირმასგან ეს დამოკიდებულება. ჩვენ ერთად ვიყავით აღმასრულებელ საბჭოში. მე ვარ ერთადერთი ადამიანი, რომელმაც პრემია-დანამატი არ იცის 8 წელია. ერთ-ერთი ყველაზე მაღალი თანამდებობაა, მთავარი პროკურორის ტოლი. მე კი გავყიდე სამსახურებრივი მანქანა, არ მემსახურება, რომ ასოციაციის ბიუჯეტიდან თანხა არ წასულიყო ჩემს მძღოლში, ბენზინში. გავყიდე და ამ ფულით, რაც დავზოგე, ვიყიდე ახალი შენობა.



## ირმა ჭკადუა: „არ არის ლამაზი, ზაზა ერთ კანდიდატს რომ უჭერს მხარს“

სამოთახიან ბინაში ჩავიბარე ასოციაცია, დღეს მივდივარ და ოთხ შენობას ვტოვებ, სამ ორსართულიანს და ერთ ოთხსართულიანს ადვოკატთა ასოციაციისთვის. ასევე 50 ათას ლარს ვტოვებ ამ წლის ბიუჯეტის ანგარიშზე, როგორც დაზოგილ თანხას! მე რომ გავხდი თავმჯდომარე, 100 ათასზე მეტი ვალი დამხვდა! საკუთარი ხარჯებით დავდიოდი ვიზიტებში! წარმოგიდგენიათ, ჩემზე რომ მაგას იტყვის ადამიანი, ადმინისტრაციული ხარჯებით მოჰყავს ადვოკატები ავტობუსებითო!

***– რას გერჩით ირმა ჭკადუა?***

– ირმა ან ცილს მწამებს, ან ჩაერთო ვიღაცა კანდიდატის სასარგებლოდ, რომ ცილი დამწამოს მე.

***– ვის სასარგებლოდ ჩაერთო, ვინ არის ეს კანდიდატი?***

– არ ვიცი. შესაძლოა, მის სასარგებლო არ მოხსნას კანდიდატურა, მაგრამ სპეციალურად გამლანძღოს. ათი დღით ადრე ჩაერთო კამპანიაში. ეს როგორი წარმოუდგენელია, რა გითხრათ. გავა ირმა და მიიღებს მაქსიმუმ 50 ხმას. ეს მისი რეპუტაციის განადგურება იქნება. ეს ადამიანი ინადგურებს რეპუტაციას! ადვოკატებთან შეხვედრა არ გქონია, შენი გუნდი არ დაგისახელებია, შენი საარჩევნო პროგრამა არ იცის არავინ.

ესენი ხომ ადვოკატები არიან?! ესენი ხომ არ არიან რიგით ხალხი, რომ ასე მარტივად ჩასვა „მარშრუტკაში“ და უთხრა, ეს კანდიდატი შემოხაზეო! ადვოკატების უმრავლესობა ინტელიგენტი, ჩამოყალიბებული ადამიანია. ირმა ჭკადუას კრახი გარდაუვალია და რატომ აკეთებს ამას, ვერ გამიგია. რატომ, იმიტომ, რომ ზაზა ხატიაშვილს ცილი დასწამოს?!

# „შურისძიების მოტივით სანადირო თოფიდან ესროლა“

## 8 წელი სიძის მკვლელობისთვის




ქუთაისის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და სიძის განზრახ მკვლელობისთვის ბრალდებული ა.ა. დამნაშავედ ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 111, 108-ე მუხლით.

ბრალდებულს 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2017 წლის 13 მარტს, დაახლოებით 21:00 საათზე, ჭიათურის რაიონში ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა ა. ა-მ თავის საცხოვრებელ სახლში ურთიერთშელაპარაკებისას, შურისძიების მოტივით, განზრახ მოკვლის მიზნით სიძეს ს.ნ.-ს სანადირო თოფიდან გასროლით კისრისა და სახის არეში მიაყენა ჭრილობები. მიღებული დაზიანებების შედეგად ს.ნ. შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა.

სამართალდამცავებმა ა.ა. დანაშაულის ჩადენის ადგილზე დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 111, 108-ე მუხლით (ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის განზრახ მკვლელობა) წარედგინა და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლომ ა.ა. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 8 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

# „ჩემი ქმარი 5.000 ლარის გულისთვის მოკლეს“

## რას ყვება ილო ტუღუშის მეუღლე ეკა ტუღუში

6 დეკემბერს ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩების მსაჯ ილო ტუღუშის ცხედარი მალთაყვის ტყეში იპოვეს. საქმე თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით არის აღძრული, თუმცა ოფიციალური ვერსიის ოჯახს არ სჯერა.

გარდაცვლილის მეუღლე და დედა „კურიერს“ იმ ინციდენტის შესახებ უყვებიან, რომელიც მსაჯის გაუჩინარებას წინ უძღოდა.

6 დეკემბერს ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის მსაჯს უცნობმა პირებმა სახლში მიაკითხეს და დაძაბული საუბრის დროს ფულს სთხოვდნენ. არის ვერსია, რომ შესაძლოა, ილო ტუღუშის სიკვდილი ჩაწყობილ თამაშებს უკავშირდებოდეს.

– აქ მომაკითხეს, რაღაც თანხაზე იყო საუბარი. ეძებდნენ ჩემს ქმარს, არ ვიცი, რა მოხდა. თანამდებობა უნდოდათ და ვერ დასვა ჩემმა ქმარმა და სთხოვდნენ ჩემს ქმარს. 5.000 ლარს ითხოვდნენ. მოკლულია ჩემი ქმარი, – განაცხადა ილო ტუღუშის მეუღლემ, ეკა ტუღუშმა.



ანალოგიურს ჰყვება გარდაცვლილის დედა. მანანა ტუღუში ამტკიცებს, რომ მისი შვილი მოკლეს.

ფეხბურთის ფედერაციის მსაჯთა კომიტეტის თავმჯდომარე ვერსიას, რომ შესაძლოა, ილო ტუღუშის სიკვდილი ჩაწყობილ თამაშებს უკავშირდებოდეს, გამორიცხავს. ლევან მიქელაძე ამბობს, რომ გარდაცვლილი მსაჯი იყო და მას კავშირი არ ჰქონია გუნდთან.

„გურია თუდეის“ ექსკლუზიური ინფორმაციით, სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე ილო ტუღუში ერთ-ერთ სასტუმროში შენიშნეს, თუმცა ამ ინფორმაციას სააგენტო ვერ აზუსტებს.

ილო ტუღუში ცხოვრობდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩოჩხათში, რომელიც მალთაყვიდან მინიმუმ 15-20 კილომეტრითაა დაშორებული.

რატომ აღმოჩნდა ქართველი მსაჯი მალთაყვაში, როცა ახლა არც საკურორტო დროა და საფეხბურთო სეზონიც დასრულებულია, ძნელი სათქმელია.

უკავშირდება თუ არა თვითმკვლელობა პროფესიულ საქმიანობას, ჯერჯერობით უცნობია.

# რა ზომებს მიიღებს ევროკავშირი უკრაინის წინააღმდეგ

**მარიამ მჭედლიშვილი**



უკრაინის მოსახლეობის ახლანდელი პროტესტის ერთ-ერთი მთავარი საგანი ქვეყანაში გამეფებული კორუფციაა. ამავე შენიშვნას კიევი დასავლეთის სხვადასხვა სტრუქტურიდან იღებს. ამ დღეებში კორუფციის თემაზე გამოთქმული პრეტენზიები უფრო ინტენსიური გახდა.

საკითხს ევროკავშირის საგარეო სამსახური გამოეხმაურა. მან უკრაინის გენპროკურატურა დაადანაშაულა იმაში, რომ საზოგადოებას ნდობას უკარგავს. ხალხს იმედი ეწურება, რომ ქვეყანაში კორუფციას ებრძვიან.

– კიევმა უნდა გააააქტიუროს ძალისხმევა ანტიკორუფციული ორგანოების დამოუკიდებლობის, ოპერატიული შესაძლებლობებისა და სრულფასოვანი ეფექტიანობის უზრუნველყოფისათვის, – აღნიშნავს ევროკავშირის მთავარი დიპლომატი ფედერიკა მოგერინი.

უფლებადამცველი ანტიკორუფციული ორგანიზაცია „ტრანსპარენს ინტერნეიშენელი" გავრცელებულ ანგარიშში მიუთითებს, რომ თუ უკრაინის ხელისუფლება განაგრძობს ამჟამინდელ პოლიტიკას კორუფციასთან მიმართებით, ის დაკარგავს საერთაშორისო მხარდაჭერას.

ანგარიშის თანახმად, ახლანდელი ქმედებებით უკრაინა ანადგურებს ყველა იმ შედეგს, რომელსაც 2.014 წლიდან ანტიკორუფციული რეფორმით მიაღწია. უკრაინის ინტეგრაცია ევროპულ თანამეგობრობაში შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ქვეყანაში ეფექტურად ებრძვიან კორუფციას. ამ მომენტისათვის კიევი ამის საწინააღმდეგოს აკეთებს – ასუსტებს ანტიკორუფციულ ორგანოებს და მათ ხელისუფლებაზე დამოკიდებულს ხდის.

– კორუფციასთან ბრძოლის შეწყვეტა ნეგატიურად იმოქმედებს ქვეყნის ეკონომიკურ აღდგენაზე და უკრაინის ინტეგრაციაზე ევროპულ თანამეგობრობაში, – აღნიშნავს ორგანიზაცია.

თუ უკრაინა არ შეცვლის თავის დამოკიდებულებას, მის მიმართ გარკვეულ ზომებს მიიღებენ. ყველაზე მტკივნეული გახდება ვიზალიბერალიზაციის გაუქმება.

კონფლიქტმა უკრაინის ეროვნულ ანტიკორუფციულ ბიუროსა და გენერალურ პროკურატურას შორის ბოლო დროს ისეთი მასშტაბები მიიღო, რომ მხარეებმა საქმე ვაშინგტონში გაარჩიეს.

აშშ უკრაინას კორუფციასთან ბრძოლაში დიდი ხანია, ეხმარება. ვაშინგტონმა დაადგინა უკრაინის ბიუჯეტიდან 2.013 წლიდან დატაცებული თანხების ოდენობა. ეს 3,24 მილიარდი დოლარია.

„ბლუმბერგის" შეფასებით, როცა უკრაინას დასავლეთის ფული სჭირდებოდა, პოროშენკო და მისი პოლიტიკური მოკავშირეები ასრულებდნენ ყველა პირობას, რომლებიც აუცილებელი იყო დახმარების მისაღებად. ეროვნული ანტიკორუფციული ბიურო სწორედ ასე შეიქმნა. დღეს ეს ბიურო ვერ ახდენს გამოძიებულ საქმეებზე ბრალდებების რეალიზებას. ის შეეჯახა არარეფორმირებულ სასამართლო სისტემას.

ექსპერტების აზრით, უკრაინის მოსახლეობისათვის მტკივნეულ თემას იყენებენ ის პოლიტიკური ლიდერები და მათი უცხოელი პარტნიორები, რომლებსაც უკრაინის ახლანდელი პრეზიდენტის იმპიჩმენტი და ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები აქვთ ჩაფიქრებული. საპრეზიდენტო არჩევნებამდე წელიწად-ნახევარია დარჩენილი.

ასეთ ლიდერად სახელდება ყოფილი პრემიერი იულია ტიმოშენკო. არაერთი ექსპერტის აზრით, იგი თავისი მიზნებისთვის სააკაშვილსაც იყენებს.

ყოფილი პრეზიდენტი ვიქტორ იუშჩენკო პრეზიდენტად კენჭისყრას არ აპირებს. 28 ოქტომბრიდან 14 ნოემბრამდე ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, რეიტინგებში პირველი მოქმედი პრეზიდენტი პეტრო პოროშენკოა, მეორე – მომღერალი სვიატოსლავ ვაკარჩუკი, რომელსაც ოდნავ ჩამორჩება იულია ტიმოშენკო.

დასავლეთის ფავორიტი საპრეზიდენტო არჩევნებისათვის ჯერ არ გამოკვეთილა. „ბლუმბერგის" სიტყვებით, უკრაინაში ძნელია პრინციპული, ახალგაზრდა, პროევროპული ორიენტაციის პოლიტიკოსის პოვნა, თუმცა ასეთები არსებობენ.

# ტრამპმა იერუსალიმი ისრაელის დედაქალაქად აღიარა

## ჰამასმა პალესტინას აჯანყებისკენ მოუწოდა

7 დეკემბერს აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა იერუსალიმი ისრაელის დედაქალაქად აღიარა. მან თქვა, რომ იქ აშშ-ის საელჩოს გადაიტანს, რასაც 3-4 თვე დასჭირდება.

– ამის გაკეთებას ამერიკის ბევრი პრეზიდენტი აპირებდა. დადგა დრო, რათა განზრახვა სისრულეში მოვიყვანოთ, – თქვა ტრამპმა.

ტრამპის გადაწყვეტილებას ისრაელში სიხარულით შეხვდნენ, რასაც მსოფლიოს სხვა ქვეყნებზე ვერ ვიტყვით. აშშ-ის პრეზიდენტის ქმედება გააკრიტიკეს გერმანიის კანცლერმა მერკელმა, ინგლისის პრემიერმა ტერეზა მეიმ, ევროკომისარმა მოგერინიმ და ა.შ.

ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ბენიამინ ნეთანიაჰუმ აშშ-ის პრეზიდენტის გადაწყვეტილება შეაქო.



– ეს ისტორიული დღეა. იერუსალიმი ებრაელი ხალხის დედაქალაქია 3.000 წლის განმავლობაში. იერუსალიმი ჩვენი იმედების, ჩვენი ოცნებების ცენტრი იყო 3.000 წლის განმავლობაში. ჩვენ ღრმად მადლობელები ვართ აშშ-ის პრეზიდენტის მამაცი და სამართლიანი გადაწყვეტილებისთვის, იერუსალიმი ისრაელის დედაქალაქად აღიაროს და იერუსალიმში აშშ-ის საელჩოს გახსნის მომზადებასთან დაკავშირებით. აშშ-ის პრეზიდენტის ეს გადაწყვეტილება მშვიდობის უზრუნველყოფას ემსახურება. ეს მშვიდობისკენ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯია. არ იქნება მშვიდობა, თუ ის არ მოიცავს იერუსალიმს, როგორც ისრაელის სახელმწიფოს დედაქალაქს. მშვიდობის მოყვარულ ყველა ქვეყანას მოვუწოდებ, შეუერთდნენ აშშ-ს იერუსალიმის ისრაელის დედაქალაქად აღიარებაში და მათი საელჩოების იერუსალიმში გადმოტანაში, – განაცხადა ბენიამინ ნეთანიაჰუმ.

დონალდ ტრამპის ქმედებას თურქეთის ქალაქებში პროტესტი მოჰყვა. ასობით მოქალაქე ანკარაში, სტამბოლსა და ქვეყნის დიდ ქალაქებში გამოვიდა და აშშ-ის პრეზიდენტის გადაწყვეტილება დაგმო.

სტამბოლში მანიფესტანტები შტატების საკონსულოსთან შეიკრიბნენ და ისრაელის დროშა დაწვეს. აქციის მონაწილეები ანტიამერიკულ და პალესტინის მხარდასაჭერ ლოზუნგებს სკანდირებდნენ. თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ტრამპის გადაწყვეტილებას უპასუხისმგებლო უწოდა.

ტრამპის საქციელი არც მოსკოვში მოიწონეს.

– მოსკოვმა ვაშინგტონის განცხადება სერიოზული აღშფოთებით მიიღო. ჩვენ იმ მოცემულობიდან გამოვდივართ, რომ პალესტინა-ისრაელის კონფლიქტის საიმედო დარეგულირება მიღწეულ უნდა იქნეს საერთაშორისო სამართლის საფუძველზე, მათ შორის გაეროს უშიშროების საბჭოსა და გენერალური ასამბლეის რეზოლუციების შესაბამისად, რომლებიც ითვალისწინებენ პალესტინის ტერიტორიების სტატუსის ყველა ასპექტის, მათ შორის იერუსალიმის სენსიტიური საკითხის მოგვარებას, – განაცხადეს რუსეთის საგარეო უწყებაში.

პალესტინური ტერორისტული ორგანიზაცია „ჰამასის" ლიდერი ისმაილ ხანია კიდევ უფრო შორს წავიდა.

– აშშ-ის პრეზიდენტის ამ გადაწყვეტილებამ სამშვიდობო პროცესი მოკლა, ბოლო მოუღო ოსლოს შეთანხმებებს და კონფლიქტის დარეგულირების პროცესი შეუძლებელი გახადა, – განაცხადა ისმაილ ხანიამ.

აღნიშნულთან დაკავშირებით მან პალესტინელ ხალხს ისრაელის წინააღმდეგ ახალი აჯანყებისკენ („ინტიფადა") მოუწოდა.

– ჩვენ მოვუწოდებთ პალესტინის თავისუფალ ხალხს, პარასკევს „მრისხანების დღეზე" გამოვიდნენ და ახალი ინტიფადას დაწყება გამოაცხადონ. ხვალ ჩვენი ხალხის აჯანყება დაიწყება ოკუპაციის წინააღმდეგ და, დარწმუნებულნი ვართ, ეს ჩვენი წმინდა მიწის გათავისუფლებით დასრულდება. ერთიანი იერუსალიმი მთლიანად პალესტინის დედაქალაქია. „ჰამასის" ყველა დანაყოფებისთვის ბრძანებაა გაცემული, რომ ნებისმიერი საფრთხე მოიგერიონ, – დასძინა მან.

# პუტინს პრეზიდენტობა ისევ უნდა



ვლადიმერ პუტინი 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს.

– მე დავაყენებ ჩემს კანდიდატურას პრეზიდენტის თანამდებობაზე, – განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა „გაზ"-ის ქარხნის მუშებთან 7 დეკემბრის შეხვედრაზე.

მისი თქმით, მსგავსი განცხადებისთვის უკეთესი ადგილი და უკეთესი მიზეზი არ არსებობს.

– მადლობა თქვენ მხარდაჭერისთვის, – განუცხადა მუშებს პუტინმა.

მისივე თქმით, რუსეთი ივლის მხოლოდ წინ და ამ მოძრაობაში მას ვერავინ ვერასდროს გააჩერებს.

„ედინაია რასია" კვლავაც მხარს ვლადიმერ პუტინს დაუჭერს.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას"); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.
მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# განცხადებები

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● ონკოლოგიური პროცესების მართვა, ლიმფის გაწმენდით მეტასტაზების განადგურება, სიმსივნური უჯრედის ზრდის შეჩერება, ქიმიოთერაპიის ეფექტურობის გაზრდა, იმუნიტეტის ამაღლება, თმის ცვენის, გულის რევის შეჩერება, ენერგიისა და ჭამის მადის მომატება მცენარეული, აბსოლუტურად უვნებელი საშუალებებით. ტელ: 597-98-95-99.

● ფსორიაზის, ეგზემის, კანისა და ფრჩხილის სოკოს მკურნალობა გარანტირებული შედეგებით. ფსორიაზის მკურნალობა ლიმფის გაწმენდით (შინაგანად) და მალამოებით. მამაკაცური სექსუალური პრობლემების მოწესრიგება, ერექციის გახანგრძლივება და სხვა – მხოლოდ მცენარეული პრეპარატებით. ტელ: 597-98-95-99.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეულ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. აჩქარებს ოპერაციის შემდგომ ჭრილობების შეხორცებას. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09; 295-40-58 ჯემალი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივი უძლურება (იმპოტენცია), პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევა-დამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართა პრობლემების: კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზიური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

●კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

# დიქსონი საქართველოსა და ქომაგებისთვის ითამაშებს



დასრულდა ფიბას მიერ ორგანიზებული მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის პირველი ფანჯარა. საქართველოს ნაკრების ნატურალიზებული კალათბურთელი მაიკლ დიქსონი საუკეთესო მექულეა.

ფრანგული სტრასბურის უკანახაზელი განსაკუთრებით ბელგრადში გამართულ მატჩში გამოირჩა, როდესაც 36 ქულა მიითვალა, ხოლო გერმანიასთან 25 ქულას დასჯერდა.

ფიბას ვებგვერდი საკვალიფიკაციო ეტაპზე საქართველოს ეროვნული ნაკრების სტარტს გამოეხმაურა და შეფასება სწორედ დიქსონს სთხოვა.

**მაიკლ დიქსონი:**

– ორივე მატჩი კარგად ვითამაშეთ, მაგრამ გამარჯვება ვერ მოვახერხეთ. ამ ფონზე, ჩემი შედეგიანი გარჯაც ფასს კარგავს, რადგან მხოლოდ მოგება მაინტერესებს და მარცხში პოზიტივის დანახვა გამიჭირდება. სერბეთს დიდებული კალათბურთელები და მწვრთნელი ჰყავს და მათ წინააღმდეგ თამაში ყოველთვის რთულია. ცხადია, ვიცოდით, რომ ბელგრადში ჩასვლა და გამარჯვება ძალიან ძნელი იქნებოდა, თუმცა, მიზნამდე ცოტა დაგვაკლდა.

თებერვალში მართლაც დიდი გამოცდა გველის. იმედი მაქვს, ის ბიჭები, რომლებიც სხვადასხვა მიზეზთა გამო გვაკლდნენ, დაგვიბრუნდებიან და მომავალი ფანჯრისთვის უძლიერესი შემადგენლობით ვიქნებით. მსოფლიო ჩემპიონატის კვალიფიკაცია ის ტურნირია, სადაც თავის გამოჩენის შანსი ბევრ ნაკრებს ეძლევა.

საკალათბურთო ზეიმად მიჩნეულ ფინალურ ეტაპზე მონაწილეობა ყველას სურს და ჩვენს მაქსიმუმს გავაკეთებთ, რათა მიზანს მივაღწიოთ. პირადად ყველაფერს გავილებ, რათა საქართველო მსოფლიო პირველობაზე მოხვდეს. საქართველოს ნაკრებს დიდებული ქომაგები ჰყავს, რომელთაც კალათბურთი ძალიან უყვართ.

# დინამო ევროთასებს ექვსი მარცხით გამოეთხოვა



**დინამო-ისთანბული 70:97**

(23:30, 19:23, 20:25, 8:19)

თბილისის დინამომ ფიბას ევროპის თასზე ასპარეზობა დაასრულა. ირაკლი ხოშტარიას გაწვრთნილმა თბილისურმა გუნდმა ჯგუფური ეტაპის ბოლო ტურის შეხვედრა ოლიმპიურ სასახლეში გამართა და, წინა 5-ის მსგავსად, ეს მატჩიც წააგო.

თურქულ ისთანბულს ჯგუფიდან გასვლა გარანტირებული ჰქონდა. სტუმრებს 5-დან 4 მოგება ჰქონდათ აქტივში და ჯგუფში პირველ ადგილზე გასვლისთვის იბრძოდნენ. დინამოელებს კი ტურნირზე პირველი გამარჯვების მოპოვება სურდათ, მაგრამ გამარჯვება სტამბოლელებს დარჩათ.

ისთანბულს შემადგენლობაში ჰყავდა სლოვენიის ეროვნული ნაკრების წევრი იაკა კლობუჩარი, ხორვატიის ნაკრების წევრი ივან ბუვა და სერბეთის ეროვნული გუნდის წარმომადგენელი სტეფან ბირჩევიჩი. ერთი სიტყვით, თურქულ კლუბს ძლიერი შემადგენლობა და, შესაბამისად, დიდი ამბიციები აქვს და დღევანდელი შეხვედრის მოგებაც არ გასჭირვებია.

დინამოელებმა იბრძოლეს. მეტოქეს მეორე პერიოდში ანგარიში გაუთანაბრეს (32:32), ხოლო მესამეში ჩამორჩენა 5 ქულამდე გაუზათილეს (52:57), თუმცა კლასისა და ოსტატობის ხარჯზე სტამბოლელებმა უმალ მოიპოვეს ხელჩასაჭიდი უპირატესობა და თამაშის ბოლომდე ლიდერობა 27 ქულამდე გაზარდეს – 97:70.

ისთანბულში 22 ქულით, 10 მოხსნითა და 5 პასით ივან ბუვა გამოირჩა. 17 ქულა დაგროვდა რაიან ტულსონის ანგარიშზე. დინამოში 18 ქულით ბომბარდირი გახდა ნიკოლა გაჩეშა, 13 ქულა ჰქონდა ჰარისონ ტურპინს, ხოლო ლევან გრძელიძის ანგარიშზე 11 ქულა დაგროვდა.

ამით დინამოელებმა დაასრულეს ფიბა ევროპის თასზე ასპარეზობა და ახლა მთლიანად საქართველოს სუპერლიგაზე გადაერთვებიან.

**ირაკლი ხოშტარია, დინამოს მთავარი მწვრთნელი:**

– სამწუხაროდ, ჩვენ ვერ მოვახერხეთ გამარჯვება და დავმარცხით. თუ ჩვენ დასკვნებს გამოვიტანთ არა ამ მატჩიდან, არამედ მთლიანად ფიბა ევროპის თასის ტურნირიდან, მასში ჩვენი მონაწილეობა გამართლებული იქნება. როგორც ვხედავთ, მეტია საჭირო, როგორც მოთამაშეებისგან, ისე მწვრთნელებისგან. კომპლექსურადაა განვითარება საჭირო. მე მზად ვარ ამისთვის და ვფიქრობ, ჩვენ მოვახერხებთ იმას, რომ ვაჩვენოთ უკეთესი შედეგი და გულშემატკივრები გავახაროთ.

*მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა*

# ლუის სუარესი: „მოედანზე მშვიდად თუ ვარ, თავს არაკომფორტულად ვგრძნობ“



ბარსელონის ურუგვაელი თავდამსხმელის ლუის სუარესის ინტერვიუ მადრიდულ გაზეთ მარკაში გამოქვეყნდა, სადაც არაერთ საინტერესო საკითხზე ისაუბრა.

***– მშვიდი, მოღიმარი ადამიანი ხარ. თუ ავლებ პარალელს მოედანზე მყოფ ლუის სუარესთან, რომელიც გამუდმებით ჩხუბობს და კამათობს?***

– ბოლომდე არა, მაგრამ ვაღიარებ, რომ ისიც ლუის სუარესია. ეს თამაშის ჩემი სტილია. ყველა ეპიზოდში ბრძოლის უნარმა სწორედ იქ მომიყვანა, სადაც ახლა ვარ. ზოგ თამაშში, ამაზე ვფიქრობ და ვცდილობ დავმშვიდდე, მაგრამ ზოგჯერ ეს შეუძლებელია. რაც უფრო მშვიდად ვარ მოედანზე, უფრო არაკომფორტულად ვგრძნობ თავს. ასე რომ, უნდა ვიჩხუბო და ვიკამათო. თუმცა, ასეთი რამ მხოლოდ მოედანზე ხდება. მოედანს მიღმა მშვიდი და უფრო კარგი ხასიათის ადამიანი ვარ.

***– მართალია, რომ მიმდინარე სეზონში ტრავმით თამაშობ?***

– კი, მაგრამ ახლა თავს უკეთ ვგრძნობ. მკურნალობის რამდენიმე რთული კურსი დამჭირდა, რის შემდეგაც გამოვკეთდი. აღარ მინდა, ტკივილს კიდევ ვგრძნობდე.

***– როგორ ფიქრობ, ნეიმარმა სწორი გადაწყვეტილება მიიღო, როცა ბარსელონა დატოვა?***

– ნეიმარი ზრდასრული ადამიანია, რომელსაც საკუთარი გადაწყვეტილება გაცნობიერებული ჰქონდა. რა თქმა უნდა, მას ეს გაუჭირდა, რადგან ის აქ ბედნიერი იყო. უნდა შევეგუოთ იმას, რომ მას სხვა გამოწვევები ჰქონდა. გადაწყვეტილება, რომელიც ნეიმარმა ოჯახთან ერთად მიიღო, გასაგებია. ჩვენ მასზე ნაწყენები არ ვართ. ყველაფერი იმისთვის, რაც ამ ფეხბურთელმა კლუბისთვის გააკეთა, მას პატივს ვცემთ.

***– ვრცელდება ჭორები, რომ ერთ დღეს, შესაძლოა, ნეიმარი რეალში გადავიდეს.***

– გამორიცხულია. გულახდილად რომ გითხრათ, ეს ვერ წარმომიდგენია. ნეიმარს ვიცნობ, ვიცი ბარსელონისა და ყოფილი თანაგუნდელების მიმართ მისი დამოკიდებულება. არა მგონია, ის რეალში გადავიდეს.

***– ზინედინ ზიდანთან ერთად ყველაფრის მოგების შემდეგ რეალის ასეთ ცუდ შედეგებს როგორ ახსნი?***

– ყველა გუნდს აქვს კრიზისი, რომლის დროსაც ან თამაშია არადამაკმაყოფილებელი, ან შედეგი. მადრიდელები კარში ხშირად ურტყამენ, მაგრამ გოლის გატანას ვერ ახერხებენ. ფეხბურთში ასეთი რამ ნორმალურია. მსგავს სიტუაციაში ჩვენც აღმოვჩნდებით. რაც ნამდვილად ვიცით, არის ის, რომ რეალს ლა ლიგაში უპირატესობა არ უნდა დავუთმოთ.

***– რა შეიცვალა გუნდში ერნესტო ვალვერდეს მისვლის შემდეგ?***

– ეს არის მწვრთნელი, რომელიც თავისი ყველა ფეხბურთელის შესაძლებლობებში დარწმუნებულია. ლუის ენრიკეს შემდეგ ბევრი არაფერი შეცვლილა, მაგრამ ჩვენი ვარჯიშები და თამაში მაინც განსხვავებულია.

***– ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ ბარსელონამ ზაფხულში სასურველი ფეხბურთელები ვერ დაიმატა. ნეიმარის წასვლის შემდეგ გუნდმა ძალების სრულად აღდგენა მოახერხა?***

– ნეიმარი განსხვავებული და განსაკუთრებული მოთამაშეა. სხვა ფეხბურთელებმა გუნდის გაძლიერებაში თავიანთი წვლილი შეიტანეს. მაგალითად, ჟერარ დელოფეუმ, რომელსაც ბარსელონაში ადრეც უთამაშია. ასევე პაულინიომ, რომელსაც ბევრი აკრიტიკებდა, მაგრამ ეს ფეხბურთელი უმაღლეს დონეზე თამაშობს. ის ბრაზილიის ნაკრების ერთ-ერთი კაპიტანია. უსმან დემბელეს ტრავმაში არ გაუმართლა, მაგრამ, როდესაც ის დაბრუნდება, ნახავთ, რომ ბევრს გააკვირვებს. ახლა ბევრი ჭორი ვრცელდება მომსვლელი და წამსვლელი ფეხბურთელები შესახებ, მაგრამ ჩვენ არაფერი ვიცით.

***– მართალია, რომ ნეიმარისა და ედინსონ კავანის ურთიერთობის დალაგებაში წვლილი შენც შეიტანე?***

– არა. ეს სრული სიცრუეა.

***– მცველებისგან ზურგით დგომით თამაში ვინ გასწავლა?***

– ამას ყოველთვის ვაკეთებდი. დღესდღეობით, მცველები უკეთ მიცნობენ და კორპუსით თამაშის საშუალებას აღარ მაძლევენ. ამის გამო, სხვა უპირატესობებით სარგებლობა მიწევს. ეს მოძრაობა ახალგაზრდა ასაკში ვისწავლე, შემდეგ კი დავხვეწე. ჩემი მეგობრები ამაზე ბევრს ხუმრობენ.

***– რა არის შენი ყველაზე დიდი გამოწვევა?***

– უპირველესი გამოწვევა 2017 წლის წარმატებით დასრულება და 2018 წელს ბარსელონასთან ერთად ყველაფრის მოგებაა. შემდეგ კი, ურუგვაისთან ერთად, მსოფლიოს ჩემპიონატზე კარგად უნდა ვითამაშო.

***– რას ფიქრობ, როდესაც წარუმატებელი სერია გაქვს, როგორც მიმდინარე სეზონში?***

– არის მომენტები, როდესაც საკუთარ თავს არ ჰგავხარ და გოლის გატანას ვერაფრით ახერხებ. სწორედ ამიტომ, უგოლო თამაშის მეორე დღეს ბევრს ვიცინი ხოლმე. თუ ბევრ კარგ მომენტს დიდი ხნის განმავლობაში გავაფუჭებ, სხვაგვარად ვიფიქრებ, მაგრამ ასეთი რამ არ ხდება. ზუსტად ვიცი, ასეთ სიტუაციაში როგორ უნდა მოვიქცე. საკმაოდ თვითკრიტიკული ვარ და თავს ცუდად ვგრძნობ, როდესაც გოლი ვერ გამაქვს. მაგრამ გუნდის დახმარება ძალიან მნიშვნელოვანია და როდესაც თავს ფიზიკურად კარგად ვგრძნობ, ან როდესაც კარგ თამაშს ჩავატარებ, კმაყოფილი ვარ. მაშინ ვბრაზდები, როდესაც გუნდს ვერ ვეხმარები.

***– ვინ იქნება მსოფლიოს ჩემპიონატის გმირი? მესი, ნეიმარი... სუარესი?***

– რამდენიმე ნაკრები ძალიან მაღალ დონეზე თამაშობს და მათ მოგება შეუძლიათ. ზოგ გუნდში ახალგაზრდა და გამოცდილი ფეხბურთელების ნაზავს ვხვდებით. ეს ძალიან კარგი მსოფლიოს ჩემპიონატი იქნება, რომელიც დაგვამახსოვრდება.

# ფაჩულია ტრავმამ შეაწუხა



ნატკენი მხრის მიუხედავად, ზაზა ფაჩულიამ ნბა-ს რეგულარული ჩემპიონატის მორიგ მატჩში მონაწილეობა მიიღო, თუმცა შარლოტთან შეხვედრის მე-5 წუთზე მოედანი დატოვა და აღარ დაბრუნებულა. სავარაუდოდ, ქართველმა ცენტრმა თავი არაკომფორტულად იგრძნო და მწვრთნელებმა ის დაასვენეს.

არასრულ 5 წუთში ფაჩულიამ 3 მოხსნა მოაგროვა, 1 ბურთი ააცილა და 1 დაკარგა. გოლდენ სტეიტი თამაშობდა ტრავმირებული სტეფ კარისა და დრეიმონდ გრინის გარეშე, თუმცა კევინ დიურანტის სამმაგი დუბლის (35 ქულა, 11 მოხსნა, 10 პასი) წყალობით მაინც მოახერხა შარლოტის სტუმრად დამარცხება – 101:87.

20 მოგებითა და 6 მარცხით გოლდენ სტეიტი დასავლეთ კონფერენციაში მე-2 ადგილზეა. მომდევნო მატჩს ოკლენდელები დეტროიტში პისტონსთან გამართავენ.

მანუჩარ მარკოიშვილი, რომელიც იტალიური რეჯიო ემილიას ღირსებას იცავს, ევროთასის გათამაშებაში ყოფილ გუნდს შეხვდა.

ემილიელები სტამბოლს ესტუმრნენ და გალათასარაისთან 10 ქულით – 72:82 დამარცხდნენ.

ქართველი კალათბურთელი ტრადიციულად სასტარტო ხუთეულში იმყოფებოდა და მოედანზე 31 წუთი გაატარა. მარკოიშვილი საკმაოდ შედეგიანი იყო და 10 ქულა, 6 პასი და 4 მოხსნა დააგროვა. მანუჩარმა 6-დან 3 ორქულიანი, 5-დან 1 სამქულიანი და 1 საჯარიმო ჩააგდო.

იტალიურ გუნდს 3 მოგება და 4 მარცხი მოუგროვდა და ბ ჯგუფში მე-3 ადგილზე იმყოფება. შემდეგი მატჩი კი შინ ლიტვურ ლიეტკაბელისთან აქვს.

მაიკლ დიქსონმა ფრანგულ სტრასბურში მორიგი წარმატებული მატჩი ჩაატარა. მისმა გუნდმა კი ფიბას ჩემპიონთა თასზე მორიგი გამარჯვება მოიპოვა.

სტრასბურელებმა თურქულ ბანვითს უმასპინძლეს და 87:72 სძლიეს, დიქსონი თამაშში სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო და ერთ-ერთი საუკეთესო იყო. მაიკლმა მოედანზე 17 წუთი გაატარა და 14 ქულა, 1 მოხსნა, 4 პასი და 2 ჩაჭრა მოაგროვა. დიქსონმა 3-ვე ორქულიანი და 3-დან 2 სამქულიანი და 2-ვე საჯარიმო ჩააგდო.

სტრასბურმა 5 მოგება და 2 მარცხი მოაგროვა და სატურნირო ცხრილს სათავეში მოექცა, მომდევნო მატჩს კი სლოვენიაში ოლიმპიასთან გამართავს.

## შედეგები

**6 დეკემბერი**

**ფეხბურთი**

**უეფას ჩემპიონთა ლიგა**

| | |
|---|---|
| მარიბორი-სევილია | 1:1 |
| ლივერპული-სპარტაკი | 7:0 |
| ფეიენოორდი-ნაპოლი | 2:1 |
| შახტარი-სიტი | 2:1 |
| ლაიპციგი-ბეშიქთაში | 1:2 |
| პორტუ-მონაკო | 5:2 |
| რეალი-დორტმუნდი | 3:2 |
| ტოტენჰემი-აპოელი | 3:0 |

# ჩემპიონთა ლიგის ყველა მერვედფინალისტი ცნობილია

ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპი დასრულდა და გაირკვა ყველა 16 გუნდის ვინაობა, რომლებიც პლეი ოფში ითამაშებენ.

დავიწყოთ იმით, რომ ქართველი ფეხბურთელი პლეი ოფში გვეყოლება – დავით ხოჭოლავა და დონეცკის შახტარი საკმაოდ რთული ჯგუფიდან გავიდნენ. შახტარმა ჯგუფში ჩატოვა იტალიური ნაპოლი, რომელიც დღეს ევროპულ ფეხბურთში ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია.

ბოლო ტურში შახტარს ევროპული ფეხბურთის კიდევ ერთ-ერთ საუკეთესო გუნდ მანჩესტერ სიტისთან შინ არ უნდა წაეგო. დონბასელებმა გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს და 2:1 მოიგეს.

თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პეპ გვარდიოლამ ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე წამყვან ფეხბურთელს მისცა დასვენების საშუალება, მაგრამ ეს შახტარის წარმატებას არ აკნინებს – დონეცკურმა კლუბმა დამსახურებულად მოიპოვა პლეი ოფში თამაშის უფლება.

საქართველოს ნაკრების მცველი მინდორზე 89-ე წუთზე გამოჩნდა.

როგორც შემდეგ გაირკვა, შახტარს წაგებაც აწყობდა, რადგან ჯგუფის მეორე შეხვედრაში ფეიენოორდმა შინ იმავე ანგარიშით მოუგო ნაპოლის. ნეაპოლელებმა პირველივე წუთებზე შეძლეს დაწინაურება, თუმცა შემდეგ 2 უპასუხო ბურთი მიიღეს.

გუშინ ვწერდით, რომ პსჟ-ს ჯგუფურ




ეტაპზე გატანილ გოლების რაოდენობას დამხობა არ ემუქრებოდა, მაგრამ ლივერპულს სულ ცოტა დააკლდა. მერსისაიდელებს 9 გოლი უნდა გაეტანათ, პარიზულ კლუბს რომ დასწეოდნენ. იურგენ კლოპის შეგირდებმა მართლაც გოლების წვიმა მოუწყვეს მოსკოვის სპარტაკს და 7 უპასუხო გოლი გაუტანეს.

სევილია სტუმრად ხვდებოდა სლოვენიურ მარიბორს. შეხვედრის დებიუტშივე მარიბორმა დაწინაურება მოახერხა, რის შემდეგაც სევილიამ მეტოქეზე ზეწოლა გააძლიერა. ანდალუზიელებმა ანგარიშის გათანაბრება მხოლოდ მეორე ტაიმში მოახერხეს და საბოლოოდ შეხვედრა 1:1 დასრულდა.

სპარტაკი ასპარეზობას ევროპა ლიგაზე გააგრძელებს, სევილია კი ჩემპიონთა ლიგის პლეი ოფში მეორე ადგილით გავიდა.

მოულოდნელი იყო ჯგუფიდან ბეშიქთაშის პირველი ადგილით გასვლა. თურქულ კლუბს მეტოქეებად პორტუ, მონაკო და ლაიპციგი ჰყავდა. მიუხედავად ამისა, თურქებმა მხოლოდ 4 ქულა დაკარგეს, ბოლო ტურში კი ლაიპციგს სტუმრად 2:1 მოუგეს.

გერმანელები ასპარეზობას ევროპა ლიგაზე გააგრძელებენ, რადგან პორტუმ საკუთარ მოედანზე მონაკო პირწმინდად დაჩაგრა. პორტუგალიელებს 1 ქულა სჭირდებოდათ იმისთვის, რომ პლეი ოფში გასულიყვნენ და საქმეს ისინი პირველსავე ტაიმში შეუდგნენ. რაც შეეხება მონაკოს, ეს გუნდი უმოტივაციოდ იყო მოედანზე გასული, რაც მატჩის მიმდინარეობისას მშვენივრად გამოჩნდა. საბოლოოდ, პორტუმ მეტოქე 5:2 დაამარცხა და მეორე ადგილით გავიდა შემდეგ ეტაპზე.

არაფერს წყვეტდა რეალისა და დორტმუნდის მადრიდული მატჩი, მაგრამ, ტრადიციულად, სანახაობა შედგა.

მადრიდელები თავიდანვე სოლიდურად დაწინაურდნენ, მაგრამ დორტმუნდმა 2-ბურთიანი ჩამორჩენის აღმოფხვრა მოახერხა და ანგარიში გაათანაბრა. მატჩის მიწურულს, ლუკას ვასკესმა მადრიდულ კლუბს 3 ქულა მოუპოვა. „სამეფო კლუბი" ჩემპიონთა ლიგის პლეი ოფში მეორე ადგილით გავიდა.

რეალის ფორვარდმა კრიშტიანო რონალდუმ კი ახალი რეკორდი დაამყარა. პორტუგალიელმა შემტევმა გოლის გატანა ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის ექვსივე შეხვედრაში შეძლო, რაც აქამდე არცერთ ფეხბურთელს არ გაუკეთებია.

როგორც მოსალოდნელი იყო, ტოტენჰემმა საკუთარ მოედანზე კვიპროსელებს შანსი არ დაუტოვა და 3:0 დაამარცხა.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ აპოელმა და დორტმუნდმა ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე 2-2 ქულა დააგროვეს, თუმცა, ბურთების უკეთესი შეფარდების წყალობით, ევროპა ლიგაზე გერმანული კლუბი გადავიდა.

მაშ ასე, პლეი ოფში 16 გუნდი გავიდა და ისინი კალათების მიხედვით ასე გადანაწილდნენ...

პირველი ადგილი ჯგუფში: მანჩესტერ იუნაიტედი, პსჟ, რომა, ბარსელონა, ლივერპული, მანჩესტერ სიტი, ბეშიქთაში, ტოტენჰემი;

მეორე ადგილი ჯგუფში: ბაზელი, ბაიერნი, ჩელსი, იუვენტუსი, სევილია, შახტარი, პორტო, რეალი.

წყვილში ერთი ჯგუფის და ერთი ასოციაციის გუნდები ვერ მოხვდებიან. ჯგუფების გამარჯვებულები პირველ მატჩებს სტუმრად 13/14 და 20/21 თებერვალს ჩაატარებენ, ხოლო საპასუხოს – 6/7 და 13/14 მარტს.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

სამართალი

## „მინდა, ჩემი თავი ცოტა ხნით დავსაჯო"

### ხორავაზე მკვლელობის საქმეზე დაკავებული ყოფილი პოლიციელი პატიმრობას არ გაასაჩივრებს

ხორავას ქუჩაზე მოზარდების მკვლელობის შეუტყობინებლობაში ბრალდებული ერთ-ერთი პირი თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებას აღკვეთის ღონისძიების შეფარდებაზე არ გაასაჩივრებს.

– თვითონ ფაქტი იმდენად რთულია, განვიცდი და მინდა, ჩემი თავი ცოტა ხნით დავსაჯო, საზოგადოებისგან იზოლირება მინდა, – ამბობს ბრალდებული.

ადვოკატ დარეჯან ბუცხრიკიძის თქმით, ბრალდებულს, რომელიც ერთ-ერთი მოსწავლის მამა და შსს-ს ყოფილი თანამშრომელია, „საზოგადოებისგან იზოლირება უნდა".

ადვოკატის თქმით, მისი დაცვის ქვეშ მყოფმა დანაშაული აღიარა, თუმცა აქვე ბუცხრიკიძე აღნიშნავს, რომ ბრალდებული აპირებდა პოლიციაში მისვლას შვილთან ერთად, რათა მომხდარის შესახებ განეცხადებინა.




გარდა ამისა, გუშინ გაირკვა, რომ დანაშაულის შეუტყობინებლობაში ბრალდებული კიდევ ერთი პირი აღკვეთის ღონისძიების შეფარდების გადაწყვეტილებას აღარ გაასაჩივრებს. ადვოკატი მერაბ მამულაძე აღნიშნავს, რომ, ბრალდებულის მოთხოვნით, საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებას დაცვის მხარე არ გაასაჩივრებს.

ხორავას ქუჩაზე მოზარდების მკვლელობის საქმეზე დანაშაულის შეუტყობინებლობის ბრალდებით პროკურატურამ პასუხისგებაში 5 პირი მისცა, რომელთა შორის 2 მოსწავლის მშობელი და შსს-ს ყოფილი თანამშრომელია.

## უნაი ემერის ისევ აკრიტიკებენ



პსჟ-ს მწვრთნელი უნაი ემერი კვლავინდებურად კრიტიკის ობიექტია. პარიზულმა გუნდმა ზედიზედ ორი შეხვედრა წააგო, რამაც ამ გუნდის სტაბილურობა ეჭვქვეშ დააყენა.

პსჟ-მ ზაფხულში ტრანსფერებში თითქმის 500 მილიონი ევრო დახარჯა და ჯერჯერობით წლევანდელ სეზონში უნაი ემერის გუნდი კარგად გამოიყურება, მაგრამ არ წყდება საუბრები იმის შესახებ, რომ ემერის იანვარში თანამდებობიდან გაათავისუფლებენ და პსჟ-ს სხვა ადამიანი გაწვრთნის.

პარიზული გუნდი ამ პოსტზე რამდენიმე კანდიდატურას განიხილავს.

## კოუტინიო: „არ ვიცი, ბარსელონა ისევ დამიძახებს თუ არა"

ლივერპულის ბრაზილიელმა ნახევარმცველმა ფილიპე კოუტინიომ ბარსელონაში ტრანსფერის შესახებ ისაუბრა და თქვა,




რომ ზაფხულში მას ჰქონდა კატალონიური გუნდისგან შეთავაზება, მაგრამ მაშინ ეს ტრანსფერი არ შედგა.

კოუტინიომ არ იცის, მომავალში მოვლენები როგორ განვითარდება.

– ზაფხულში შემეძლო ბარსელონაში გადასვლა, მაგრამ საბოლოოდ ლივერპულში დავრჩი. იანვარში არ ვიცი, მექნება თუ არა კიდევ ერთი შეთავაზება ბარსელონისგან. მოვლენების განვითარებას უნდა დაველოდოთ, – განაცხადა ფილიპე კოუტინიომ.

## მანჩესტერ სიტიმ 29-მატჩიანი წაუგებელი სერია შეწყვიტა

მანჩესტერ სიტიმ სტუმრად დონეცკის შახტართან 1:2 წააგო და 29-მატჩიანი წაუგებელი სერია შეწყვიტა. მანჩესტერ სიტის ეს სერია 2017 წლის მაისიდან გრძელდებოდა, ხოლო წლევანდელ სეზონში ეს ხოსეპ გვარდიოლას გუნდის პირველი მარცხია.



შახტარი მთელი მატჩის განმავლობაში უკეთესად გამოიყურებოდა და დამსახურებულად გაიმარჯვა. შახტარმა მცირე სენსაციაც მოახდინა და ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში გააღწია, რასაც ბევრი არ ელოდა, რადგან ჯგუფში შახტართან ერთად ნაპოლიც იყო, რომელიც საბოლოოდ მხოლოდ მესამე ადგილს დასჯერდა.

## ალესანდრო ნესტა შეიძლება კროტონეს მწვრთნელი გახდეს




წარსულში ლეგენდარული ფეხბურთელი ალესანდრო ნესტა შესაძლოა იტალიური გუნდის კროტონეს მთავარი მწვრთნელი გახდეს.

კროტონე ამჟამად იტალიის ჩემპიონატში მე-16 პოზიციაზეა და ცუდი შედეგების გამო მათ მთავარი მწვრთნელი გაათავისუფლეს. ნესტას აქვს გარკვეული გამოცდილება ამ დარგში და რამდენიმე წლის წინ ის მაიამის საფეხბურთო გუნდის მთავარი მწვრთნელი იყო. ჯერჯერობით უცნობია, დათანხმდება თუ არა ნესტა კროტონეში მუშაობას. კროტონეს ახალი მწვრთნელის ვინაობა რამდენიმე დღეში გახდება ცნობილი.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## ასტროპროგნოზი

### 8 დეკემბერი



**ვერძი** – კეთილისმყოფელი დღეა სულიერი განვითარების თვალსაზრისით. ასევე აგიმაღლდებათ შრომისუნარიანობა. მიზანს იოლად მიაღწევთ. **კურო** – პრობლემების მოგვარებაში ოპტიმიზმი და თავდაჯერებულობა გეხმარებათ. წვრილმანებზე ყურადღებას ნუ გაამახვილებთ. **ტყუპები** – გარშემომყოფებთან ურთიერთობისას წინდახედულობა გმართებთ. დაუფიქრებელი ლაპარაკი საქმეს გაგიფუჭებთ. **კირჩხიბი** – ახლობელ ადამიანთან შეხვედრა თქვენს ფსიქოემოციურ მდგომარეობაზე დადებით გავლენას მოახდენს. ოპტიმისტურად ხართ განწყობილი. **ლომი** – ვარსკვლავები გმფარველობენ. ჩანაფიქრი მალე აგისრულდებათ. **ქალწული** – მოსალოდნელია სოლიდური ფინანსური ხარჯები. იფრთხილეთ, არასაჭირო კონტაქტებს თავი აარიდეთ. **სასწორი** – მოვლენებს ნუ დააჩქარებთ. რადიკალური ცვლილებებისაგან თავი შეიკავეთ. **მშვილდოსანი** – ენერგიულად ხართ. იზრდება როგორც თქვენი პიროვნული მომხიბვლელობა, ასევე გარშემომყოფების დარწმუნების უნარი. **თხის რქა** – წინააღმდეგობრივი დღეა. მიზანს მხოლოდ მოთმინებისა და გონიერების მეშვეობით მიაღწევთ. **მერწყული** – ნებისმიერ სიტუაციაში სიდინჯეა საჭირო. აჩქარებით საქმეს გააფუჭებთ. **თევზები** – ეცადეთ, ემოციები მოთოკოთ. ჯანმრთელობას მიხედეთ. მიმდინარე მოვლენებს ემოციურად ნუ აღიქვამთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

**ღრიანკალი** – შესაძლოა ხელსაყრელი შემოთავაზება მიიღოთ. იყავით გაბედული და შანსს ხელიდან ნუ გაუშვებთ.

## კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. სიცილიის ადმინისტრაციული ცენტრი; 2. თავის ქალის ზედა ნაწილი; 3. ფსიქიკური დაავადება ბოდვებით, ზოგჯერ ჰალუცინაციებით; 4. ბუნებრივი ზონა აფრიკაში; 5. იტალიელი მოდელიორი; 6. თეატრის ძველი ქართული სახელწოდება; 11. ხელოვნური წყალსაცავი რაჭაში; 13. კომედიური ჟანრის მუსიკალურ-თეატრალური წარმოდგენა; 14. ქაღალდის ფულის ნიშნების შემსწავლელი დისციპლინა; 15. გიგანტური ზომის გადაშენებული ქვეწარმავალი; 17. მგალობელი ჩიტი; 18. გულუხვი მასპინძელი; 19. ყატარის დედაქალაქი.

**თარაზულად**: 7. სომხური ცეკვა; 8. ქართული ხალხური ზღაპარი; 9. მაღალმთიანი კლიმატური კურორტი აჭარაში; 10. აეროპორტი მადრიდში; 12. ფუნდამენტური სამეცნიერო ნაშრომი; 14. მაღაროს გასანათებელი მაღაროელთა ფარანი; 16. გეოდეზიური ხელსაწყო; 18. ძველად სასწავლებელი, სადაც მოსწავლეები ბინითა და კვებით იყვნენ უზრუნველყოფილნი; 20. თვითმფრინავის რეგულარული ფრენის მარშრუტი; 21. ქართული ჟურნალი; 22. კათოლიკური ეკლესია პოლონეთში; 23. კურორტი რაჭაში; 24. ყვითელნაყოფიანი შემოდგომის ხილი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. მურილიო; 2. დრამი; 3. გრეიდერი; 4. ენეიდა; 5. ფაბრიკა; 6. ჰიგინსი; 11. ატენი; 13. ვესპუჩი; 14. ზინგშპილი; 15. ბარომეტრი; 17. რეგატა; 18. სინუსი; 19. რენო.

**თარაზულად:** 5. გუჯარი; 8. ბრანდვახტი; 9. მიანმა; 10. ცილინდრი; 12. კონვერტორი; 14. ზღარბი; 16. „ქრისტინე"; 18. სენატორი; 20. ანაშა; 21. ომი; 22. ჩანჩქერი; 23. ჭოტი; 24. მოტოციკლი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. პრატერი; 2. ყაბალახი; 3. ფეტელი; 4. მუაში; 5. „მიცუბიში"; 8. ჩასპანდი; 12. ელბა; 13. „ფლამენგო"; 14. ფრახტი; 16. ტავერნა; 18. კარნე; 20. „ტატა".

**თარაზულად:** 6. ერისტიკა; 7. „ფრეჟიუსი"; 8. ჩაფარი; 9. „ტესლა"; 10. სალონიკი; 11. „ბუდეშური"; 15. ალმადოვარი; 17. კამენა; 19. ტრიტიკალე; 21. სნუკერი; 22. მონორელსი; 23. „პალიტ-

# ჩინეთში ქართული კულტურის ცენტრი გაიხსნა




ჩინეთში ბადაგონის პარტნიორმა კომპანიამ, ბადაგონის თანადგომითა და აქტიური ჩართულობით, ქართული კულტურის ცენტრი გახსნა. გახსნის ცერემონიალს სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი, კახეთის გუბერნატორი ირაკლი ქადაგიშვილი, კომპანია ბადაგონის დამფუძნებელი გიორგი სალაყაია, ჩინეთის მთავრობის წარმომადგენლები და სხვა ოფიციალური პირები ესწრებოდნენ.

ქართული კულტურის ცენტრის შენობა, თავისი ბრწყინვალე შინაარსითა და მომხიბვლელი დიზაინით, ქართული ღვინის, ტურიზმისა და ზოგადად ქართული ბიზნესის ჩინეთში პოპულარიზაციას მკვეთრად შეუწყობს ხელს.

ცენტრი საკმაოდ დიდ ტერიტორიას მოიცავს და მისი თითოეული დარბაზი თუ კუთხე ქართული მონასტრების, ქართული არაჩვეულებრივი ლანდშაფტების, ღვინის ქართული ტრადიციული მეთოდით დაყენებისა და ბადაგონის შესანიშნავი ღვინოების დემონსტრირებას ახდენს.

# ზაქარია ჭიჭინაძის უცნობი წერილები ხელოვნების სასახლემ შეისყიდა



ზაქარია ჭიჭინაძის 16 უცნობი და გამოუცემელი წერილი ხელოვნების სასახლემ ერთ-ერთი კერძო პირისაგან დავით ბეჟუაშვილის სახელობის განათლების ფონდის დახმარებით შეისყიდა.

წერილები მრავალმხრივაა საინტერესო. აქ მოცემულია ზაქარია ჭიჭინაძის მოსაზრებები იმდროინდელი საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობის, ქართველ მაჰმადიანთა ყოფის, საზოგადო მოღვაწეთა შეჭირვების შესახებ. არქივში ასევე შესულია ჭიჭინაძის მიერ დაწერილი ერთი ლექსიც.

შეგახსენებთ, რომ ზაქარია ეგნატეს ძე ჭიჭინაძე იყო ქართველი საზოგადო მოღვაწე, გამომცემელი, ლიტერატურისა და ისტორიის მკვლევარ-პოპულარიზატორი. მან შეკრიბა 500-ზე მეტი ძველი ხელნაწერი, პერგამენტი და კომენტარებით გამოსცა. ზაქარია წიგნებს წერდა, საკუთარ სტამბაში აწყობდა, ბეჭდავდა, კინძავდა და თვითონვე გაჰქონდა ბაზარზე გასაყიდად. მანვე გამოსცა „ქართლის ცხოვრება" რამდენიმე ტომად.

ზაქარია ჭიჭინაძის მიერაა შედგენილი და გამოცემული მრავალი ისტორიული, ბიბლიოგრაფიული, ეთნოგრაფიული, სამეცნიერო-პოპულარული და სხვა ხასიათის წიგნი. მან შექმნა ქართველ მოღვაწეთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი მონოგრაფიული შრომები, რომლებიც დღესაც დიდ დახმარებას უწევენ მკვლევრებს.

ზაქარია ჭიჭინაძე 1931 წლის 27 დეკემბერს გარდაიცვალა. ის მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაასაფლავეს.

# „ექიმები" სატელევიზიო ეთერში ბრუნდება

გადაცემა „ექიმები" რამდენიმეთვიანი პაუზის შემდეგ ეკრანს უბრუნდება.

გადაცემა ტელეკომპანია რუსთავი 2-ის ნაცვლად ტელეკომპანია იმედის ეთერში გავა.

ახალი სეზონის პირველი გადაცემის ნახვას მაყურებელი 31 დეკემბერს შეძლებს. ახალი წლიდან კი ექიმები კვლავაც გაანებივრებენ სასარგებლო რჩევებით თავიანთ ერთგულ მაყურებლებს.

განახლებულ გადაცემაში მონაწილეობას აღარ მიიღებს ექიმი დავით ლოლაძე. „ექიმების" წამყვანები იქნებიან კონსტანტინე მათითაშვილი, ნინო ჩოგოვაძე და ლევან ხარაიშვილი.

დავით ლოლაძის გადაცემიდან წასვლამ საზოგადოებაში არაერთგვაროვანი გამოხმაურება გამოიწვია. მაყურებლის ნაწილმა განაცხადა, რომ იმედზე გადასულ გადაცემას აღარ უყურებს, ნაწილმა და „ექიმებს" ბოიკოტი დავით ლოლაძის წასვლის გამო გამოუცხადა.

სხვადასხვა გავრცელებულ ჭორს გადაცემის ერთ-ერთი წამყვანი კოტე მათითაშვილი გამოეხმაურა:

– აი, რა მნიშვნელობა აქვს, სად ვიქნებით! ჩვენ ჩვენს საქმეს ვაკეთებთ კარგად და მონდომებით, იმედი იქნება თუ რ-2, მთავარი გუნდია და ადამიანები, რომლებიც ამ საქმეს აკეთებდნენ და აკეთებენ! რა დაგემართათ, ადამიანებო, ულტრაუმცირესობას ეხება, შეირგეთ და შეგვარგეთ, რა! ვმუშაობთ და თავს არ ვზოგავთ, რა ხელფასი, რის ხელფასი! წარმოდგენა არ გაქვთ, რა ხდება ტელევიზიებში და აქ იმოძლვრებით! არ შეიძლება, ნეგატივის გარეშე რომ წეროთ? ვახ!

# მანანა აბაზაძეს ვარსკვლავს გაუხსნიან




ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის სახელობის სახელმწიფო ნაციონალური ანსამბლის ერთ-ერთ გამორჩეულ წევრს, ანსამბლის ოქროს ხანის მოცეკვავე მანანა აბაზაძეს თბილისის დიდი საკონცერტო დარბაზის წინ ვარსკვლავს გაუხსნიან.

25 დეკემბერს დიდ საკონცერტო დარბაზში ლეგენდარული სუხიშვილების მოცეკვავე მანანა აბაზაძის საიუბილეო საღამო გაიმართება, საღამოს დასრულების შემდეგ კი მოცეკვავის ვარსკვლავი გაიხსნება.

მანანა აბაზაძის საღამოზე მისული მაყურებელი სცენაზე იხილავს სუხიშვილების ყველა თაობის მოცეკვავეებს და, რაც მთავარია, ქალბატონი მანანა მათთან ერთად რამდენიმე ცეკვას შეასრულებს.

საღამოს ორგანიზატორი საქართველოს კულტურის პალატაა. როგორც ორგანიზატორები აცხადებენ, 25 დეკემბერს დიდ საკონცერტო დარბაზში შეკრებილებს საოცარი

# დემნა გვასალია ქალისა და კაცის ჩვენებებს გააერთიანებს

ბალენსიაგას ქართველი შემოქმედებითი ხელმძღვანელი, დიზაინერი დემნა გვასალია მოდის მოყვარულების სიურპრიზებითა და მოულოდნელობებით გაკვირვებას განაგრძობს.

როგორც დიზაინერმა უცხოელ ჟურნალისტებთან განაცხადა, ბალენსიაგა ქალისა და კაცის ჩვენებებს გააერთიანებს. სიახლე ცოტა ხნის წინ დადასტურდა. როგორც ცნობილია, ქალისა და კაცის სამოსის კვირეულები სხვადასხვა დროს ტარდება. ბალენსიაგა იანვარსა და მაისში აჩვენებდა კაცის კოლექციებს, ხოლო მარტსა და სექტემბერში ქალის სამოსს. მომავალი წლიდან კი დემნა გვასალია 2 დიდ კოლექციას წარადგენს, მარტსა და სექტემბერში. ერთ კოლექციაში 80-120 ლუქი იქნება.

ბალენსიაგა პირველ გაერთიანებულ ჩვენებას 2018 წლის მარტში პარიზში გამართავს. ასევე ცნობილი გახდა, რომ იანვარში ბრენდი კაცის პრი კოლექციას წარადგენს. ეს კაცის პირველი პრი კოლექცია იქნება ბალენსიაგასგან.

# იუნა შაფათავა მსახიობი გახდა




იუნა შაფათავა, რომელმაც პოპულარობა სექსის თემაზე დაუღალავი საუბრით მოიპოვა, რამდენიმე თვის წინ საცხოვრებლად ამერიკაში წავიდა და მსახიობობაც დაიწყო:

– სტუდიაში არ ვსწავლობ, მადლობა მოლოცვებისთვის. მანჰეტენზე ერთ ცნობილ და ნამდვილ თეატრში სპექტაკლში ამიყვანეს, რაც ბროდვეის არ ეკუთვნის, ყველა კლასიკური სატირაა. ვიცი, გაინტერესებთ, პრემიერა 28 დეკემბერს. უბრალოდ, ვნერვიულობ, რა სამსახური შეუთავსდება რეპეტიციებს. მომიწევს სხეულის უცნაური მოძრაობების კეთება. რას იზამ, ხელოვნების სიყვარული მსხვერპლს მოითხოვს. ძალიან საინტერესოა აქ ცხოვრება.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# სამგლოვიარო განცხადებები

## სერგო მანჯგალაძე



სერგო მანჯგალაძე... ადამიანი, რომლის წასვლამაც ყველას ძალიან გვატკინა გული, რადგან, ღრმა ასაკის მიუხედავად, მის გარდაცვალებას ვერავინ წარმოიდგენდა... ისეთი ენერგიული, შემართული და სიცოცხლის მოყვარული, დაუზარელი და ყურადღებიანი გახლდათ – მუდამ გვერდში მდგომი და გულშემატკივარი საჭირო დროს... და რომ არა ავტოკატასტროფის ტრაგიკული შემთხვევა, კიდევ ბევრი წელი იქნებოდა კარგი მეგობარი, თანამშრომელი, შესანიშნავი მამა და ბაბუა, ღირსეული მოქალაქე და ნამდვილი თბილისელი, ჯენტლმენი კაცი...

თბილისში დაბადებულს, უმაღლესი ეკონომიკური განათლება ჰქონდა მიღებული და ცხოვრების უდიდესი ნაწილი ვაჭრობის სისტემაში გაატარა. პასუხისმგებლობით სავსე მუშაკი არაერთი მსხვილი სავაჭრო ობიექტის ხელმძღვანელი და კვალიფიციური სპეციალისტი გახლდათ. გასული საუკუნის მეორე ნახევრის მთელი თბილისი იცნობდა თავისი კარგი საქმითა და სიტყვით, ხელგაშლილობითა და სამეგობრო წრით. ხშირად იხსენებდა იმ დროის ქართველი ინტელიგენციის, მწერლების, მსახიობების, საზოგადოებისა და მაშინდელი პარტიული ელიტის ცნობილ წარმომადგენლებთან მეგობრობის ამბებს, მათ შორის – ფრიდონ ხალვაშთან, ნოდარ დუმბაძესთან, ჯანსუღ ჩარკვიანთან და სხვებთან...

საქართველოს პენსიონერთა კავშირში სამუშაოდ 2007 წელს მოვიდა. 80 წელს კარგა ხნის გადაცილებული გახლდათ უკვე, მაგრამ მისი ასაკი არასდროს არავის უგრძნია – ყოველთვის მხნედ და პირნათლად ასრულებდა თავის მოვალეობას საქმეშიც და კოლეგიალობაშიც.

ამიტომ დაგვაკლდება ასე... ამიტომ გაგვყვება უმისობა და გვინდა, რომ ამ უკანასკნელი სიტყვებით გულითადი მადლობა გადავუხადოთ ყველაფრისთვის. დაე, მსუბუქი იყოს მისთვის საყვარელი თბილისის მიწა და ნათელში ამყოფოს ღმერთმა მისი კეთილი სული...

*საქართველოს პენსიონერთა კავშირის გამგეობა*

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. სწრაფმავალი მოტორიანი ნავი; 2. საეკლესიო წესების კრებული; 3. „ფორმულა-1"-ში მონაწილე გერმანელი ავტომრბოლელი; 4. ჯაკომო პუჩინის ოპერა; 5. მთავრობის წევრი; 8. ხალხური ზეპირსიტყვიერება; 12. ცხვრის ქონიანი კუდი; 13. სამონასტრო კომპლექსი თეთრიწყაროს რაიონში; 14. ზღვის ყაჩაღი; 16. წმინდა ოქრო; 18. ერთწლიანი პარკოსანი მცენარე; 20. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში.

**თარაზულად**: 1. ჩეჩენ-ინგუშთა საერთო სახელწოდება ძველად საქართველოში; 7. აშშ-ში გავრცელებული ფართოფარფლებიანი კოვბოური ქუდი; 8. ტროპიკული პალმის ნაყოფი; 9. იაპონელი მოდელიორი; 10. დიდი, მთლიანი ქვის ლოდი; 11. ამერიკელი იურისტი, დეტექტიური ჟანრის მწერალი; 15. სისხლის წნევის აწევა; 17. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 19. ბუდისტთა წმინდა წიგნი; 21. სან-რემოს კინოფესტივალის გრანპრის მფლობელი თენგიზ აბულაძის მხატვრული ფილმი; 22. მეცნიერება უჯრედების აგებულების, განვითარებისა და ფუნქციების შესახებ; 23. მე-17 საუკუნის ესპანელი მხატვარი.




*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

# პროგრამა

**პარასკევი 8 დეკემბერი**

**07.30** "ნამდვილი დრო" **08.00** ანიმაცია. "მოგზაური დორა" **09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** "მოამბე" **09.15** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **10.00, 02.10** "პირადი ექიმი" **11.00, 19.00** ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" **12.15** "სპორტის დაფა" **12.40** "აქტუალური თემა მაკა ცინცაძესთან ერთად" **13.25, 22.00** ტ/სერ. "**სახელმწიფო მდივანი**" **14.30** დოკ/ფ "ჩამოთვლილთაგან არც ერთი" **15.30, 06.00** დოკ/ფ "ინდის საგანძური" **16.30** ტ/სერ. "**ველვეტი**" **18.30** დოკ/ფ. "გონების თამაშები" **20.00, 03.10** ტ/სერ. "**ელემენტარული**" **21.30** "კვირის ინტერვიუ"- ირაკლი აბსანძე **23.00** დოკ/ფ "თოფ-გიარი" **00.00** მხ/ფ "**ბაგსი**" (უ.ბიტი) **04.00** მხ/ფ "**ჩაპი**"

**06.30, 16.00** სერ. "**ტყუილი**" **07.30, 08.15, 09.20** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00,** ქრონიკა **10.10** სერ. "**ელიფი**" **11.20** სერ. "**ფიცი**" **12.30** იმედის დღე **14.40** სერ. "**ელიფი**" **17.35** სერ. "**ქალაქის გული**" **18.50, 19.03** სერ. "**დარჩი ჩემთან**" **2** სერ. **21.00** სპორტი **21.08** ამინდი **21.10** სერ. "**დედა**" **22.00** ჩვენ ვარსკვლავები ვართ **00.00** მხ/ფ "**ჩემი ოჯახი**" **01.45** მხ/ფ "**იმიტაციის თამაში**" **03.50** მხ/ფ "**ჯეინ ეარი**" **05.45** მხ/ფ "**ბიჭი – სათამაშო**"

**06.00, 18.50** სერ. "**მეორე შანსი**" **07.00, 20.03** სერ. "**დედამთილი**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**მფარველი ანგელოზი**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**ფერიჰას საიდუმლო**" **15.30** სერ. "**მზიანი დღეები**" **16.55** სერ. "**მორჩილების სავანე**" **22.00** ვანოს შოუ **23.00** ქერის უბანი **23.30** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" **00.00, 01.00** მხ/ფ **01.30** კურიერის დაიჯესტი **02.00** მხ/ფ

tv პირველი **7.55** ან/ფ **8.00** საქმიანი დილა **11.00** ქალების ნარატივი **12.00** სერ. "**რამონზე შეყვარებული**" **13.00, 17.00, 22.00** საინფორმაციო გამოშვება - NEWS **13.40** უცხოეთის ამბები **14.00, 16.00** დიანა ტრაპაიძის დღის ამბები **15.00, 22.30** საქმის კურსი **17.50, 0.00, 2.00,** მხ/ფ **20.00** პირველები **23.00** ავტორბოლა **23.30** ღალატი

GDS **08.00** ან/ფ "ატომი" **08.30** ან/ფ "ავატარი" **09.00, 19.00** სერ. "**ცისფერი სისხლი 7**" **11.00** მხ/ფ "**ბარბაროსი კონანი**" **13.00** სერ. "**კრიმინალური აზროვნება 2**" **15.00** სერ. "**კრიმინალური აზროვნება 3**" **17.00** სერ. "**სამხედროების ცოლები 6**" **21.00** სერ. "**ლურჯის ელფერი 2**" **22.00** მხ/ფ "**ძალადობის ისტორია**" **00.00** მხ/ფ "**სიჩქარის მოყვარული**" **02.20** მხ/ფ "**გატაცება სამოც წამში**" **04.25** მხ/ფ "**ბიჭური რბოლა**" **06.15** მხ/ფ "**გაქცევა**"

იბერია **08.00** ანანდა **08.10** მულტფილმი **08.20** მულტ/სერ. **09.00** სერ. "**ბანდოლერა**" **10.40, 11.40, 12.40, 20.55, 22.55** ტელემარკეტი **11.00, 13.00, 17.00, 19.00, 01.20,** ახალი ამბები **12.00, 2.00** ბიზნესკოდი **14.30** ექიმის საათი **15.00, 01.30** მოდი გავეყაროთ **16.00, 2.45** ფაბრიკა **18.30** სერ. "**ყველაფერი ცხოველების შესახებ**" **19.55** მე რომ ვიყო **20.00** თოქ შოუ "ცენზურის გარეშე " **21.00** სერ. "**გაქცეულები**" **22.00** სერ. "**ჯადოსნური ამბავი**" **23.00** ღია სტუდია **00.00** მხ/ფ "**წინდაუხედავი**" **3.45** ცენზურის გარეშე

**06.15** კვირიაკე **07.10** ქრისტიანული ხელოვნება **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** დ/ფ "ველური ბუნება-ვეშაპების ცეკვა" **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.10** ტრაპეზი "ლობიო პომიდვრით" **10.25** თბილისის ტაძრები "მამა დავითი" **10.35** ბავშვები მუზეუმში "ეთნოგრაფიის მუზეუმი" **11.10** ერთსულოვანი ოჯახი **12.05** მხ/ფ "**ლუკას სახარება**" **13.30** ან/ფ "პოკახონტესი" **15.05** ქართული ან/ფ **15.20** გადაცემა ოპერა " რექვიემი" (მოცარტი) I, II **17.30** კვირიაკის სიუჟეტი "რეზო ჩხეიძე 85" **18.10** დ/ფ "ქართული ფეხბურთის მაესტრო-ნოდარ ახალკაცი" **18.40** ძველი აღთქმის განმარტება **19.00, 22.00, 00.10** სიახლენი **19.20** მხ/ფ "**ნერგები**" **20.40** ძილი ნებისა "ხელმარჯვე ოსტატი" **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.05** დროის ჩანაწერები "ვახტანგ გაბუნია" **22.25** მოგზაურობა სამშობლოში "ნაიარევი ციხე–ტაძრები" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** გზა, რომლითაც ვიარე "ჟორდანიები" **23.45** ღვთის სახლი "ილორი" **00.00** საეკლესიო კალენდარი **00.35** დ/ფ "გზა" 5 ნაწ. **01.30** მხ/ფ "**მოკვეთილი**"

მაესტრო **10.00 - 23.00** მთავარი თემა (განმეორება ყოველ ერთ საათში) **10.30 - 3.00** ახალი ამბები (განმეორება ყოველ ერთ საათში)

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**8 დეკემბრისთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.6975

ევრო — 3.1895

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.609

100 რუსული რუბლი — 4.5642

## ამინდის პროგნოზი 8 დეკემბრისთვის





## 30 ნოემბრიდან




ჯემალ ჩახავა

**ქურდები და არიფები**

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

## 28 ნოემბრიდან

გურამ ყორანაშვილის

**ავკარგიანობა გიორგი სააკაძისა**




ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი




## იუმორი

ქუჩაში ძაღლმა კაცს უკბინა და შარვალი შემოახია. კაცი პატრონთან მივიდა, ნაკბენი ადგილი და გახეული შარვალი აჩვენა და ეუბნება:

– კომპენსაციას მოვითხოვ!

– რა პრობლემაა, მე ძაღლს დავიჭერ და შენ უკბინე! – პასუხობს ძაღლის პატრონი.

●●●

ქმარი ცოლს მობილურზე ურეკავს, რათა გაიგოს, როგორ არის სახლში საქმე, რამე ხომ არ სჭირდება. ცოლი ნახავს, რომ ქმარი ურეკავს და კეკლუცი ხმით პასუხობს:

– ალო! მსოფლიოში საუკეთესო ცოლი გისმენთ...

– ოჰ, მაპატიეთ, ეტყობა ნომერი შემეშალა.

●●●

პაციენტი ქირურგს ეკითხება:

– ექიმო ბევრი ადამიანი გყავთ გადარჩენილი?

– რა თქმა უნდა, მე ხომ ოპერაციას იშვიათად ვაკეთებ.

●●●

ერთი რუსი მეორეს ეუბნება:

– მოდი, უზბეკურად დავლიოთ!

– იქნებ ამერიკულად ჯობდეს?..

– იაპონურად...

– რა განსხვავებაა! დილით მაინც თავს რუსებად ვიგრძნობთ...

●●●

სომხეთის რადიოს ეკითხებიან:

– რატომ არის, რომ სუსტი სქესის წარმომადგენლებს მშვენიერს უწოდებენ?

– იმიტომ, რომ ისინი შესანიშნავად იყენებენ საკუთარ სისუსტეებს.

●●●

– ცოლი სულ მთლად კისერზე დამაჯდა, არ ვიცი, რა მოვუხერხო, – ეუბნება კაცი თავის ახლობელს.

– მაგაზე არ ინერვიულო: ხელით ტარებას ისევ კისერზე ჯდომა გირჩევნია, – პასუხობს ახლობელი.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


## 23 ნოემბრიდან

ლაშა იმედაშვილი

**სამი მკვლელობა ძველ თბილისში**

**პატრიარქის ზაფხული**

ქართული დეტექტივი

ტომი 13

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი




## 21 ნოემბრიდან

შიო გვეტაძე

**მონანიება**

ქართული დეტექტივი მე-14 ტომი




ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

